# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 17 მარტი 2000 №49 (1071) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

## ამერიკაში სიბერე ტკბილია



ლოთარ მათეუსს ხრისტო სტოიჩკოვი მიჰყვა

7

## პირველად საბჭოელები

ევროპის გათამაშება 1960



რატომ არ გაუშვა ფრანკომ თავისი გუნდი მოსკოვში?

15

## ათენში წყალი ადუღდა



ხუთი მსოფლიოს რეკორდი მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს! აქედან ორი ამერიკელი ნეილ უოლკერისაა

UEFA CUP

# ევროპა გაარიფდა



REUTERS პალმა დე მალიორკადან

„მილანი", „ბოლონია", „დორტმუნდი"... აი, ეს გუნდები ემსხვერპლნენ თურქულ „გალათასარაის" ჯერ ჩემპიონთა ლიგაში, მერე კი უეფას თასზე. გუშინ კი სტუმარმა თურქებმა მასპინძელი „მალიორკაც" შეარცხვინეს — ერთადერთი ბურთი ოთხი გატანილის მერელა გაუშვეს. სტამბოლელთა პირველი გოლი იმ არიფისა იყო, ფოტოზე ორ მალიორკელს, ვისენტე ენგონგას და ჩიჩი სოლერს რომ წაუქცევია.

უეფას თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

# საქართველოს ნაკრები არავის ჩამორჩება

### ჯერჯერობით ეს ჩაცმასა და სატრანსპორტო კომფორტზე ითქმის

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მორიგი სახელდახელო პრესკონფერენცია გაიმართა. სამ საათზე დაბარებული ჟურნალისტები ხუთის ოც წუთზე მიგვიწვია თავის კაბინეტში სფფ-ს გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ. მასპინძელმა დაგვიანებისთვის თავაზიანად მოგვიბოდიშა და, თქვენს ცნობისმოყვარეობას ბოლომდე დავაკმაყოფილებო, დაგვპირდა. სასაუბრო კი ბევრი ჰქონდა ჩოლარიას და მის ნათქვამსაც წვრილ-წვრილად გაგაცნობთ, ოღონდ ეგ არის, არცთუ ხანგრძლივი ევროპულივოიაჟისას გენერალურ მდივანს იმდენი საქმე გადაუწყვეტია, რომ მისი ნაუბარის ქვეთავებად დაყოფამ მოგვიწია.

იხილეთ მესამე გვერდი



ვაჟა კაპანაძის ფოტო

ვალერი ჩოლარია ციურიხიდან კმაყოფილი დაბრუნდა

## უეფას თასი. მეოთხედფინალი
პირველი წრე. 16 მარტი

UEFA CUP

REUTERS ლონდონიდან



ლიდსი — სლავია 3:0. ლიდსელი ჰარი კიუელის გოლი რადეკ ჩერნის კარში

### ლიდსი (ინგლისი) 3:0 სლავია (ჩეხეთი)
1:0 უილკოქსი (39), 2:0 კიუელი (54), 3:0 ბოიერი (59)
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰაალანდი, რადებე, ჰარტი, ბოიერი, მაკფაილი (ჰაკერბი 77), ბაკე, უილკოქსი, კიუელი, ბრიჯისი (ა. სმიტი 87)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
სლავია: ჩერნი, ვლჩეკი (რ. ვაგნერი 55), პეტროუსი, ლ. დოშეკი, ულიხი, დოშტალეკი (ჰისკი 64), პ. ჰორვატი, კოლერი, ტ. დოშეკი, კუჩარი, რადა
მწვრთნელი: ფრანტიშეკ კიპრო
გაფრთხილება: პეტროუსი, ბოიერი, რადა, ულიხი
გაძევება: რადა (76)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
39 519 მაყურებელი

### არსენალი (ინგლისი) 2:0 ვერდერი (გერმანია)
1:0 ანრი (21), 2:0 ლიუნგბერგი (76)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, ლუჟნი, სილვინიო, ლიუნგბერგი, ვიეირა, პარლოუ (ოვერმარსი 66), გრიმანდი, ბერხკამპი (კანუ 66), ანრი (შუკერი 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ბარტენი, ფ. ბაუმანი, ვიდნერი, ფრინგსი, დაბროვსკი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ბოდე, აილტონი (შირენბეკი 83)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ჰერცოგი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
38 009 მაყურებელი

### მალიორკა (ესპანეთი) 1:4 გალათასარაი (თურქეთი)
0:1 არიფი (44), 0:2 ბელოზოღლუ (48), 0:3 ჰაქან შუქური (59), 0:4 ოკანი (65), 1:4 ლორენი (78)
მალიორკა: ლეო ფრანკო, ოლაიზოლა (არმანდო 50), სივიერო, ნადალი, მიგელ სოლერი (იბაგასა 50), ლორენი, ენგონგა, ჩიჩი სოლერი, ი. სტანკოვიჩი, კარლოსი, დიეგო ტრისტანი
მწვრთნელი: მარიო გომესი
გალათასარაი: ტაფარელი, დავალა უმითი, კაპონე, ბიულენთი, ერგუნი, ოკანი (აჰმეთი 88), ჰაჯი (ჰასან სასი 80), სუათი, ბელოზოღლუ, არიფი, ჰაქან შუქური (მარსიო სანტოსი 85)
მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი
მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)
20 000 მაყურებელი

### სელტა (ესპანეთი) 0:0 ლანსი (საფრანგეთი)
სელტა: პინტო, სელადესი, კასერესი, სერხიო, ხუანფრანი, მაკელელე, ჯოვანელა (ველასკო 65), გუსტავო ლოპესი, კარპინი, რევივო (მუგენდორფი 65), ბენი მაკკარტი
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ლანსი: ვარმუზი, ე. სიკორა, პიერ-ფანფანი, ისმაელი, კუენდრუ (დეზირე ჟობი 87), ნიარკო, ბლანშარი, ბრუნელი (ლაშორი 82), დაკურტი, სახო (მორეირა 67), ნუმა
მწვრთნელები: ფრანსუა ბრისონი, დიდიე სენაკი
მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)
27 000 მაყურებელი

REUTERS ლონდონიდან



არსენალი — ვერდერი 2:0. ბრემენელ ანდრეას ჰერცოგს (მარცხნივ) ლონდონელი ქალ გრიმანდის შეჩერება ყვითელ ბარათად დაუჯდა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## ს. ამერიკა

29 მარტი

**არგენტინა — ჩილე**

მადრიდის „რეალის" ნახევარმცველი ფერნანდო რედონდო არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში ალბათ ვერ დაეხმარება. ფეხბურთელმა მთავარ მწვრთნელს, მარსელო ბიელსას სთხოვა, სანაკრებო შეკრებაზე არ მიეწვია. მადრიდის „რეალს" საკმაოდ რთული კალენდარი აქვს, რედონდო კი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი წევრია.

არგენტინის ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელ დანიელ პასარელას მოღვაწეობის დროს რედონდო გუნდში ვერ ხვდებოდა. თავკაცმა ფეხბურთელი გრძელი თმების გამო მოიძულა, არც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წაუყვანია.

ბიელსას და რედონდოს შორის კი ალბათ არავითარი გაუგებრობა არ არსებობს და უახლოეს მომავალში შესაძლოა ფეხბურთელი არგენტინის ნაკრებშიც ვიხილოთ.

ნაკრებში გამოიძახეს „ფიორენტინას" თავდამსხმელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა.

აი, ის დანარჩენი 19 ფეხბურთელი, რომელსაც ბიელსა ჩილესთან 29 მარტს დაგეგმილი მატჩისთვის მოამზადებს.

*მეკარეები: რობერტო ბონანო (რივერ პლეიტი), პაბლო კავალიერო (ესპანიოლი, ესპანეთი);*

*მცველები: რობერტო ფაბიან აიალა, ხოსე ანტონიო შამოტი (ორივე მილანი, იტალია), მაურისიო პოჩეტინიო (ესპანიოლი, ესპანეთი), რობერტო ნესტორ სენსინი (ლაციო, იტალია), ხავიერ ძანეტი (ინტერი, იტალია), ხუან პაბლო სორინი (კრუზეირო, ბრაზილია), რუდოლფო არუაბარენა, ვალტერ სამუელი (ორივე ბოკა ხუნიორსი);*

*ნახევარმცველები: დიეგო პაბლო სიმეონე, ხუან სებასტიან ვერონი (ორივე ლაციო, იტალია), კრისტიან ვონსალესი (ვალენსია, ესპანეთი), გუსტავო ლოპესი (სელტა, ესპანეთი), პაბლო აიმარი (რივერ პლეიტი), კლაუდიო ჰუსაინი (ველეს სარსფილდი);*

*თავდამსხმელები: გაბრიელ ომარ ბატისტუტა (ფიორენტინა, იტალია), არიელ ორტეგა, ერნან კრესპო (ორივე პარმა, იტალია), კლაუდიო ლოპესი (ვალენსია, ესპანეთი)*

## ლიბერტადორესის თასი

I ჯგუფი

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:3 ატლ. პარანენსე (ბრაზილია)**
0:1, 0:2 კელი (13,18), 1:2 სკოტი (57), 1:3 ლუკასი (62)

IV ჯგუფი

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 3:2 ატლასი (მექსიკა)**
1:0 პაბლო ანხელი (25), 1:1 პაბლო როდრიგესი (28), 1:2 ოსორნო (30), 2:2, 3:2 პაბლო ანხელი (37,40)

V ჯგუფი

**ხუნიორი (კოლუმბია) 2:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**
1:0 რესტრეპო (12), 2:0 ბალესტეროსი (55)

## შოტლანდია

გადადებული მატჩები

**დანდი იუნ. 2:2 კილმარნოკი**
0:1, 0:2 დარანტი (45,48), 1:2 ჰანაჰი (62), 2:2 ფერაზი (90)

**სენტ ჯონსტონი 0:1 ჰართსი**
0:1 მაკსვიგანი (69)

## ჰოლანდია

გადადებული მატჩი

**სიტარდი 2:0 აიაქსი**
1:0, 2:0 ამოა (23, 42)

## რუმინეთი

თასის ნახევარფინალი

I მატჩები

**ოცელული 0:2 დინამო**

**უნივერსიტატეა 2:0 რაპიდი**

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „არსენალი" „ქოვენთრის" მაროკოელი ნახევარმცველით, მუსტაფა ჰაჯით დაინტერესდა. ლონდონური კლუბი ფეხბურთელში 5 მილიონ გირვანქას იხდის. თუმც „ქოვენთრის" თავკაცს, გორდონ სტრაჩანს გუნდის ძირითადი მოთამაშეების შენარჩუნება სურს. შეგახსენებთ, რომ ჰაჯი „დეპორტივოდან" სეზონის დასაწყისში 4 მილიონ გირვანქად გადაბარგდა, ამიტომ „ქოვენთრის" სულაც არ აძლევს ხელს, ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი სულ რაღაც 7 თვეში მხოლოდ ერთი მილიონი გირვანქით ძვირად გაყიდოს.

**რუსული** „ჟემჩუჟინა" წარმოშობით სოჭელი ჩოგბურთელის, ყოფილი პირველი ჩოგანის, ევგენი კაფელნიკოვისგან მხარდაჭერას ითხოვს. „ცნობილი პოლიტიკოსები და სპორტსმენები თავიანთ მშობლიურ გუნდებს უნდა დაეხმარონ. „ჟემჩუჟინა" ამჟამად კრიზისშია. „ჩვენ ევგენის დახმარება გვჭირდება" — ამბობს გუნდის პრესატაშე.

**ჩრდილო** ირლანდიური ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი, რომელიც წინა კვირას ალკოჰოლიზმისგან გამოწვეული ღვიძლის დაავადებით საავადმყოფოში მოათავსეს, ჯერჯერობით სათანადოდ ვერ გამოჯანმრთელდა და იქ მინიმუმ კვირის ბოლომდე დარჩება. „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული ფეხბურთელის ექიმმა, კონსულტანტმა როჯერ უილიამსმა განაცხადა, რომ ბესტს მკურნალობა სჭირდება. „ჯორჯი ჯერ არ მომჯობინებულა და ვერ გამოვწერთ" — ამბობს პროფესორი უილიამსი. შეგახსენებთ, რომ 53 წლის ბესტი ჰოსპიტალში წინა პარასკევს დააწვინეს.

**ნორვეგიის** ჩემპიონმა „რუსენბორგმა" დორტმუნდის „ბორუსიას" შეთავაზება უარყო. გერმანელები ნორვეგიელთა 20 წლის ფორვარდის, იონ კარეუს შეძენას ცდილობდნენ. „კარეუს გადაბირება გაცილებით მაღალი დონის გუნდებს სურთ" — დაიწუნა „რუსენბორგის" დირექტორმა 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის მფლობელი კლუბი. მან „პსვ ეინდჰოვენი", „არსენალი" და „ვალენსია" იგულისხმა.

**სამხრეთ** აფრიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტროტ მოლოტომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმება გააფორმა და გუნდი აპრილის ბოლომდე ჩაიბარა. აფრიკის თასზე სამხრეთაფრიკელთა წარუმატებლობის გამო ერთხანს მოლოტოს გადადგომაზეც საუბრობდნენ, თუმც ფედერაციის გადაწყვეტილებით სპეციალისტმა პოსტი კიდევ ერთი თვით შეინარჩუნა. მოლოტო გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მომდევნო ორ შეხვედრაში უხელმძღვანელებს.

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელს, ტედი შერინგემს კლუბთან მიმდინარე კონტრაქტის ვადა სეზონის ბოლოს ეწურება. „მანჩესტერმა" ვეტერან ფორვარდს გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენა შესთავაზა. გარდა ამისა, ფეხბურთელს ერთდროულად რამდენიმე კლუბმა დაადგა თვალი. შერინგემის აგენტი ბარი ნევილი ამბობს: „ტედის შეძენის სურვილი რამდენიმე ინგლისურმა და უცხოურმა კლუბმა გამოთქვა, მასთან კონტრაქტის გახანგრძლივება უნდა „მანჩესტერსაც", თუმც ჯერჯერობით ახალი შეთანხმება არ გაფორმებულა". არ არის გამორიცხული, 1997 წელს „ტოტენჰემიდან" „მანჩესტერში" 3,5 მილიონ გირვანქად გადაბარგებული შერინგემი კვლავ ლონდონში დაბრუნდეს. 34 წლის ფეხბურთელის შეძენას „ვესტ ჰემი" და „ფულემი" ცდილობენ. შერინგემმა იტალიური, პორტუგალიური და ესპანური გუნდებიდანაც მიიღო წინადადებები.

**გერმანიის** ნაკრების თავკაცმა ერიხ რიბეკმა და მიუნხენის „ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ჩემპიონთა ლიგის ახალი სტრუქტურა გააკრიტიკეს. მათი თქმით, მაყურებელი ვერც მეორე ჯგუფურმა ეტაპმა დააინტერესა. „მეორე ჯგუფურ ეტაპზე საკმაოდ ბევრი უინტერესო და ნაკლებპრინციპული მატჩი ჩატარდა" — ამბობს ერიხ რიბეკი და მას ოტმარ ჰიცფელდიც ეთანხმება — „გუნდებს შორის მაინც დიდი სხვაობაა. ზოგმა მათგანმა მეოთხედფინალის საგზური ნაადრევად მოიპოვა, ზოგიც პირიქით, ადრე გავარდა. ეს საკმაოდ მოსაწყენია და მაყურებელს, ცხადია, არ სიამოვნებს". ჰიცფელდმა თავისებური გამოსავალი მონახა: „ორ ჯგუფურ ეტაპს ერთი სჯობს, სადაც თავიდანვე 16 გუნდი იქნება, ფინალისტ გუნდსაც 17-ის ნაცვლად 13 შეხვედრის ჩატარება მოუწევს. ფეხბურთელები ნაკლებად დაიღლებიან, ცოტა და ძლიერი კლუბი ითამაშებს და გათამაშებასაც ხიბლი შეემატება".

**ინგლისურ** „ლიდს იუნაიტედის" ფორვარდმა ჰარი კიუელმა რამდენიმე წამყვანი ევროპული გუნდის წინადადება უარყო. 21 წლის თავდამსხმელის შეძენას იტალიური გრანდები — „მილანი" და „რომა" ცდილობდნენ. თუმც ავსტრალიელმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ „ლიდსში" და პრემიერლიგაში თამაშით კმაყოფილია და არსად წასვლის არ აპირებს. „ლიდსში" ბედნიერი ვარ, გუნდთან ერთად ინგლისის ჩემპიონატისა და უეფას თასის მოგება მსურს. არსად გადასვლა არ მსურს" — ამბობს ახალგაზრდა ფორვარდი. „ლიდს იუნაიტედს" კი „ვესტ ჰემის" ნახევარმცველის, ფრენკ ლამპარდის გადაბირება მოუწადინებია. კლუბის თავკაცი დევიდ ოლირი იმედოვნებს, რომ უახლოეს მომავალში ფეხბურთელს კვლავაც თავის კლუბში იხილავს.

**იუგოსლავია.** 28-ე ტური. სარტიდი — სუტიესკა 0:0; ზემუნი — რადი 2:1; ჟელეზნიკი — ოფკ (ბელგრადი) 4:3; ცრვენა ზვეზდა — რადნიჩკი (კრაგუევაჩი) 1:0; ბორაცი — სპარტაკი 1:0; მილიციონარი — რადნიჩკი (ნიში) 0:0; მოგრენი — პარტიზანი 0:7; ჰაიდუკი (კულა) — ჰაიდუკი (ბელგრადი) 3:1; ობილიჩი — ჩუკარიჩკი 0:1; ვოივოდინა — პროლეტერი 2:1. ჩემპიონატს 27 თამაშიდან 69 ქულით ბელგრადის „პარტიზანი" ლიდერობს, მეორე ადგილზეა „ობილიჩი" — 28 თამაში, 67 ქულა, მესამეა „ცრვენა ზვეზდა" — 27 თამაში, 66 ქულა.

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის" შვეიცარიელმა კაპიტანმა ჩირიაკო სფორცამ მუხლის ტრავმა მიიღო და დაახლოებით სამ კვირას ვერ ითამაშებს. გუნდის ექიმების ცნობით, ფეხბურთელს ერთ-ერთი რიგითი ვარჯიშის დროს მყესები დაეჭიმა. „თუ მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა, სფორცას ბუნდესლიგის მომდევნო სამი ტურის გამოტოვება მოუწევს, ამის შემდეგ კი გუნდის დახმარებას შეძლებს" — იუწყება „კაიზერსლაუტერნის" მედპერსონალი.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია CFMNTKTRJV GKECB
☎ 99 67 67, 98 30 20

# საქართველოს ნაკრები არავის ჩამორჩება

დასაწყისი პირველ გვერდზე

### კალენდრის ამბავი

— შვეიცარიაში 13 მარტს ჩავედით. ჩვენი ქვეჯგუფის ხუთივე ქვეყნის ნაკრების წარმომადგენლები დილის ათ საათზე ფიფას გენერალურ შტაბში შევიკრიბეთ. იტალიას, უნგრეთსა და რუმინეთს ამ ქვეყნების საფეხბურთო ფედერაციების გენერალური მდივნები გამოეგზავნათ, ლიტველებს კი იქაური ფედერაციის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენელი. შეგვხვდა ფიფას გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი და გვთხოვა, რომ მოლაპარაკება სამ საათზე მეტს არ გაგვეწელა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა წამოაყენა წინადადება, კენჭისყრით გამოგვერკვია იმ უილბლო ნაკრების ვინაობა, ვინც ბოლო ტურში დაისვენებდა და მისთვის სასურველი მატჩების განრიგის შერჩევის უფლება მიგვეცა. მე მაშინვე ვითხოვე სიტყვა და განვაცხადე, რომ საქართველო მზად არის, იყოს ასეთი ნაკრები. ჩემს სიტყვებზე ყველა წამოიშალა და იგივე განაცხადა. ამიტომ კენჭისყრა მოგვიხდა. უილბლო ნაკრების სტატუსი ლიტველებს შეხვდათ და მათაც თავიანთი თამაშების კალენდარი უმალ წარმოადგინეს, შემდეგ კი დანარჩენი მატჩების თარიღების დადგენაზე განვაგრძეთ მუშაობა. შემუშავდა კალენდრის რამდენიმე ვარიანტი. ოთხ მათგანზე სასტიკი უარი განვაცხადე, ბოლოს კი მეხუთე ვარიანტზე დავთანხმდი.

*— კონკრეტულად რომელ ვარიანტებზე თქვით უარი?*

— უარი ვთქვი იტალიაში და რუმინეთში ბოლო ორი მატჩის სტუმრად თამაშზე, უარი ვთქვი აგრეთვე იტალიასთან და რუმინეთთან ხუთი დღის ინტერვალით შეხვედრაზე და კიდევ ორ ვარიანტზე... ერთიც მინდა ვთქვა, დაგვითმეს ლიტველებმა, მათ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინეს და ბოლო შეხვედრას საქართველოში გამართავენ. მივაღწიე იმასაც, რომ ჩვენ მწვრთნელებს მარტში არ უნდოდათ თამაში და, როგორც ნახეთ, ასეც მოხდა.

*— თქვენს შვეიცარიაში გამგზავრებამდე არსებობდა ფიფასეული კალენდარი, რომელიც დავით ყიფიანმა და რევაზ ძოძუაშვილმა ჩვენი ნაკრებისთვის საუკეთესოდ სცნეს. ამ ვარიანტის გატანა არ გიცდიათ?*

— როგორ არა, მაგრამ ამაზე უნგრელებმა თქვეს უარი. სხვათა შორის, ამ ვარიანტის გარდა შვეიცარიაში ჩვენთვის სასურველი კალენდრის კიდევ ოთხი ვარიანტი მქონდა წაღებული.

*— ამ ხუთ ვარიანტში თუ იყო კალენდრის დღევანდელი, უკვე დამტკიცებული ვარიანტი?*

— რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ვარიანტიც გარჩეული გვქონდა.

*— გამოდის, რომ მიღებული შედეგით კმაყოფილი ხართ...*

— დიახ, ასეა. ჩვენი აზრით, ზედმეტია ახლა იმაზე ლაპარაკი, კარგია თუ ცუდი კალენდარი. იცით, მეხუთე კალათაში ვიყავით... ჩვენ ვთვლით, რომ ეს ნორმალური კალენდარია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ორი საუკეთესო გუნდში მოვხვდეთ. მოკლედ, მე ყველაფრის გათვალისწინებით მართლაც კმაყოფილი ვარ.



[illegible] ფოტო

ვალერი ჩოლარია

*— ნაკრების მწვრთნელებმა თუ მოიწონეს კალენდარი?*

— მათ მითხრეს, რომ უჯობდათ, ნაკრებს რვავე მატჩი საქართველოში გაემართა, ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, ისე კი ძოძუაშვილიც და ყიფიანიც კმაყოფილნი დარჩნენ... აქვე მინდა ისიც ვთქვა, რომ 7 ოქტომბრის თამაშისთვის (ლიტვასთან) ლეგიონერებს თბილისში არ შევკრებთ, პირიქით, აქაური ფეხბურთელებით გავემგზავრებით საზღვარგარეთის ერთ-ერთ ქვეყანაში და იქ შევიერთებთ ლეგიონერებს და მოვემზადებით პირველი მატჩისთვის. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში გამარჯვებისთვის მეტად სოლიდური პრემიები გვაქვს დაწესებული.

*— პრემიების დაწესების ორი ფორმა არსებობს — კონკრეტულ მატჩებზე ან ჯგუფიდან გასვლაზე. ჩანს, აქცენტი პირველ ვარიანტზე გააკეთეთ.*

— ნაკრები პრემიებს მიიღებს მანამდე, სანამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს არ დაკარგავს.

### ამხანაგური მატჩების და სტადიონების ამბავი

— 29 მარტის მატჩისთვის ისრაელის ნაკრებთან ალბათ ჩარტერული რეისით არ გავემგზავრებით, რადგან ეს ძვირი ჯდება. გვაქვს ორი ვარიანტი. ან სტამბოლის გავლით ჩავალთ ისრაელში, ანაც ერევნიდან გავფრინდებით. იცით, რომ ოთხ და თერთმეტ ივნისს აზერბაიჯანელებთან და ესტონელებთან გვაქვს მატჩები დაგეგმილი, მაგრამ ახლა მოსაძებნია ისეთი გუნდი, რომელსაც სექტემბრის პირველ რიცხვებში ვეთამაშებით სტუმრად, რადგან პირველი მატჩი შინ არ გვიწევს. დავუკავშირდით აგრეთვე სერგეი ბოროვსკის — ბელარუსის ნაკრების მთავარ მწვრთნელს და აგვისტოში თამაში შევთავაზეთ. ბოროვსკიმ საკონტროლო მატჩის გამართვა ივნისში მოინდომა, ამიტომ შესაძლებელია, აზერბაიჯანელთა აზრის გათვალისწინებით განრიგი შევცვალოთ — 4 ივნისს ბელარუსში იქაურ ნაკრებს ვეთამაშოთ და 11 ივნისს ესტონეთში გადავიდეთ.

*— თქვენი მხრიდან კალენდრის ამგვარი ვარიანტის მოწონება იმანაც ხომ არ განაპირობა, რომ წლეულს საშინაო მატჩები არ გვიწევს. ეროვნული სტადიონი კი ისეთ დღეშია...*

— სტადიონებზე ფიფადან ოფიციალური წერილი გვაქვს. ჩვენი სტადიონები ყველა საერთაშორისო შეხვედრებისთვის მიღებულია, გარდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირების შეხვედრების და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისა. მერიიდან გარანტია გვაქვს, რომ განათება ეროვნულ სტადიონზე აგვისტოს ბოლომდე მოწესრიგდება. თუ სტადიონზე განათება მოგვარდა, იქ თამაში პრობლემა აღარ იქნება.

*— კი მაგრამ, მარტო განათებაა პრობლემა? ეროვნულ სტადიონზე დღესდღეობით სამი კლუბი თამაშობს საშინაო მატჩებს და მოედნის ხარისხიც დღითი დღე უარესდება...*

— კიდევ კარგი, რომ წლეულს საშინაო მატჩები არ გვიწევს... „ეროვნულზე“ რომ სამი გუნდი თამაშობს, ეს, რა თქმა უნდა, ნონსენსია, მაგრამ მომავალი ჩემპიონატიდან „თბილისი“ იქ აღარ ითამაშებს, „ლოკომოტივიც“ თავის სტადიონზე გადავა და პრობლემაც გამოსწორდება.

### „დინამო“ — დონდტის ამბავი

— უეფას გენერალურ მდივან მიშელ ზენ რუფინენთან შეხვედრის ერთ-ერთი მიზეზი ბელგიელი მეკარის, დენი დონდტის „დინამოსთან“ დაკავშირებული პრობლემების დარეგულირებაც იყო. როგორც იცით, უეფამ „დინამოს“ დონდტისთვის 55 ათასი დოლარის გადახდა მოთხოვა, მაგრამ ბელგიელი მეკარე ამ თანხაზე უარს ამბობდა, რადგან, მისი თქმით, „დინამოსთან“ კონტრაქტი 31 იანვრამდე ჰქონდა გაფორმებული და დამატებით ორი თვის ხელფასსაც ითხოვდა, მაგრამ, გეხსომებათ, „დინამომ“ დონდტს სხვა კლუბში გადასვლის სერთიფიკატი არ დაუგვიანა და ეს ფეხბურთელიც უსაქმოდ არ დარჩენილა — ახალ გუნდში იყო, ამიტომ უეფამ 55 000 დოლარის დავალიანება ძალაში დატოვა და ამ თანხის გადახდა „დინამოს“ ამა წლის 15 მარტამდე მოსთხოვა. აქ საქმეში ჩვენ ჩავერიეთ, „დინამოს“ ხელი გავუმართეთ და დავალიანება გავუსტუმრეთ, სანაცვლოდ ამ ფულს ჩემპიონის პირველივე მოთამაშის ტრანსფერიდან ამოვიღებთ. რუფინენთან საუბრისას გაირკვა, რომ მარტო დონდტი არ ყოფილა პრობლემა. „დინამოს“ ფულს ემართლებოდა აგრეთვე ამ ფეხბურთელის აგენტიც, საუბარია 8 000 დოლარზე. როგორც იგი ამბობდა, მასაც აკავშირებდა ერთგვარი კონტრაქტი „დინამოსთან“, მაგრამ ხელშეკრულება ჯერჯერობით ვერ წარუდგინა უეფას და საკითხიც ღიად დარჩა.

### „დინამო“ — „მრეტების“ ამბავი

მიშელ ზენ რუფინენთან ვიზიტის მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, „დინამო“ — „მრეტებს“ შორის არსებული მრავალწლიანი პრობლემის დარეგულირება იყო. ქინქლაძის ტრანსფერი საერთაშორისო რომ არ ყოფილიყო, უეფა ამაში არც ჩაერეოდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ფეხბურთის ეს ორგანო ამ საქმესთან დაკავშირებით საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს, მე კი რუფინენს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების წინ ჩვენი ზოგიერთი პოზიცია წარვუდგინე: 1. ქინქლაძე წლების განმავლობაში „ნორჩ დინამოელში“ თამაშობდა და ამ სკოლის გაზრდილი იყო, აქედან გადავიდა „მრეტებში“, კლუბში, რომელსაც ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ არანაირი კომპენსაცია არ გადაუხდია სკოლისთვის. 2. „დინამო“ უნდა [illegible]მდეს, რადგან სასამართლოს მიმართა, მაგრამ რაც იყო, იყო, სასამართლოს გადაწყვეტილება [illegible] მისაღები უნდა იყოს. 3. სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ „მრეტებს“ აპელაცია არ წარუდგენია, ესე იგი ეთანხმება მის გადაწყვეტილებას.

ჩვენ გვჯერა, რომ უეფა ამ საკითხს ობიექტურად შეაფასებს და შესაბამის გადაწყვეტილებასაც გამოიტანს.

### ავტობუსის, წამლის, ლოტოს, საკრეჭი მანქანის და შარვალ-კოსტუმის ამბავი

— შევხვდი პროექტ „გოლის“ გენერალურ დირექტორ იორგ ნეპფერს. როგორ იცით, „გოლიდან“ განვითარებად საფეხბურთო ქვეყნებს გარკვეული თანხა ერგებათ დახმარების სახით. გადაწყვეტილია, რომ ამ თანხიდან 373 ათასი გერმანული მარკა ავტობუსის შეძენას მოხმარდება. მალე ხელშეკრულება გაფორმდება ცნობილ ფირმა „მერსედესთან“, რომელიც სპეციალური შეკვეთით თანამედროვე ტიპის ავტობუსს დაგვიმზადებს. „მერსედესმა“ შეღავათიც გაგვიწია და შეკვეთის მიცემის შემდეგ სრული თანხის 30 პროცენტს გადავიხდით. ავტობუსი რომ დამზადდება, კიდევ 30 პროცენტს ჩავურიცხავთ, დარჩენილ თანხას კი 2001 წლის ბოლომდე დავფარავთ. რაც შეეხება ავტობუსს, იგი მართლაც შთამბეჭდავი იქნება, გაწყობილი ეროვნული ნაკრების ფერებით და სიმბოლიკებით. 42-ადგილიან ავტობუსში იქნება მონიტორები, ორი ვიდეომაგნიტოფონი, ტუალეტი, სამზარეულო, ტელეფონი. ავტობუსი შეკვეთის მიცემიდან ხუთ თვეში ჩამოვა თბილისში... გერმანიაში ყოფნის დროს მშვენიერი ურთიერთობა ჩამოვაყალიბეთ „ფრაიბურგთან“. ჩვენი თხოვნით, ამ კლუბმა წამლების და ვიტამინების სოლიდური რაოდენობა გადმოგვცა (წამლებით დატვირთული ორი მოზრდილი ყუთი პრესკონფერენციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შეიტანეს გენერალური მდივნის კაბინეტში — პ. კ.), რაც მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში ეყოფა ეროვნულ ნაკრებს... შევხვდი „ლოტოს“ წარმომადგენლებსაც, რომლებიც ფირმის მაისურების დამატებით 76 ერთეულსაც გამოგვიგზავნიან. გარდა ამისა, ამ ფირმამ სურვილი გამოთქვა, გამორჩევით დაესაჩუქრებინა ნაკრების ოთხი წამყვანი ფეხბურთელი და მათი ვინაობის დასახელებაც გვთხოვა... გერმანიიდან ჩამოვიტანე მინდვრის საკრეჭი მანქანების კატალოგი. იქაურ ფირმაში მითხრეს, რომ თუ სამ ცალ ასეთ მანქანას ერთად ავიღებთ, გარკვეულ შეღავათებსაც გაგვიწევდნენ, ამ მხრივაც ვმუშაობთ... საარბრიუკენში ერთ-ერთ ფაბრიკასაც ვეწვიე, გადაწყვეტილი გვაქვს, ნაკრების წევრები ერთნაირი შარვალ-კოსტიუმებით შევმოსოთ. ამ მხრივ იმ ფაბრიკასთან წინასწარი მოლაპარაკება დასრულებულია. ისრაელში ნაკრების ყველა წევრს ზომებს ავუღებთ და შემდეგ საარბრიუკენში ტანსაცმლის შეკვეთასაც გავაგზავნით...

**პაატა კვანტალიანი**

# დანაკარგი პრობლემა არ არის

„ყადაღა პრობლემა არ არის“ — არაერთხელ განუცხადებია ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას. მოგეხსენებათ, ფედერაციას ქვეყნის ბიუჯეტის წინაშე დავალიანება აქვს, ამიტომაც მისი საბანკო ანგარიშები კარგა ხნის განმავლობაში დაყადაღებული იყო. ყადაღა ახლახანლა მოიხსნა, რადგან ფედერაციამ საგადასახადო ორგანოებთან ერთად ვალის თანდათანობით დაფარვის განრიგი შეიმუშავა. მიუხედავად დალუქული საბანკო ანგარიშებისა, სფფ თავის საქმიანობას ჩვეული რიტმით აგრძელებდა. ჩოლარიას ზემოხსენებული სიტყვებიც ამის დასტური გახლდათ.

„ეგ ფული პრობლემა არ არის“ — გვითხრა გენერალურმა მდივანმა გუშინ, როდესაც ფეხბურთის ფედერაციის ფინანსური დირექტორის სამუშაო მაგიდის უჯრიდან დაკარგულ ფულზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ.

მოგეხსენებათ, მარტის პირველ რიცხვებში ფინანსური დირექტორის, გერა ხეცურიანის კაბინეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხა, 40 612 ამერიკული დოლარი გაქრა. ამის გამო ვაკის რაიონის პოლიციაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. სამართალდამცავებმა ეჭვი უპირველესად სწორედ ხეცურიანზე მიიტანეს და ორი დღის წინ დააკავეს კიდეც. ამასთან დაკავშირებით ვალერი ჩოლარიამ გვითხრა: „ფედერაციაში გერა ხეცურიანის საშუამავლო წერილი დავწერეთ, დაკავებულს სულ მალე თავდებით გამოუშვებენ. ძიების დასრულებამდე ეჭვს ვერავისზე მივიტან. ეგ ფული პრობლემა არ არის, უბრალოდ, სამწუხაროა, რომ ფედერაციაში ასეთი რამ მოხდა“.

ჩოლარიასვე თქმით, აღნიშნული თანხა ნაკრების მწვრთნელებისთვის იყო განკუთვნილი, მასში შედიოდა ეროვნული გუნდის ისრაელში და ახალგაზრდული ნაკრების საფრანგეთში გასამგზავრებელი ხარჯები. 29 მარტს რუსეთის 21-წლამდელთა ნაკრებსაც ამ ფულით უნდა დახვედროდნენ.

**ვანო ოქროპირიძე**

**დიდი**, ვეებერთელა წარმონაქმნია ფიფა თავისი ფილიალებით, შტაბბინებითა და აგენტსაქმონნებით. ახლა წევრ ქვეყნებს არ იკითხავთ? ფართოა და უკიდეგანო მათი გავრცელების არეალი და ფიფას დემოკრატიზმს ენაცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულტურის განყოფილება — ფიფაში ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრებს ზუსტად (ან თითქმის ზუსტად) ისეთივე უფლებები აქვს, როგორიც მავრიკეთს, ტაჯიკეთს ან სულაც ბუტანს.

ფიფას შეწოვადობა-განშლადობის თეორიის შესახებ ჩვენს ინფორმაციას თუ დავეყრდენით, მისი წევრი მარტო მავრიკეთი კი არა, ეგებ მალე პატრიკეთიც გახდეს (სოფელია იმერეთში), მაგრამ არც ესაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ფიფაში ყველა თანასწორია.

როგორც კრუხი წიწილებს, ისე დაჰქოთქოთებს ღრმად პატივცემული ფიფა მასში შემავალი ქვეყნების ნაკრებთა სამატჩო განრიგს და აქაოდა, ფიქრით თავს ნუ შეიწუხებთო, რამდენიმე ფანჯარაც გამოუჭრა მათ კალენდარში — ჰა ბურთი, ჰა მოედანი, ჰა დღე, ჰა რიცხვი — დადექით და ითამაშეთო.

ასეთ დღეთა და რიცხვთა შორისაა 2 სექტემბერი და, როგორც სფფ-ში გვითხრეს, ფედერაციაში ფაქსი მოსულა — მავანი ფიფას ლიცენზირებული აგენტი (სახელი და გვარი უცნობია) სთავაზობს ჩვენი ფეხბურთის საფიხვნოს მეთაურთ, თუ 2 სექტემბერს თქვენს ნაკრებს საქმე არა აქვს, მექსიკასთან ამხანაგურ შეხვედრას გაგიხერხებთ და პასუხი გვაცნობეთო.

## ალო, მექსიკასთან ითამაშებთ?

სფფ-ში ადრეც მოსულა მსგავსი ფაქსები, მაგრამ მიზეზთა გამო შეხვედრები არ (თუ ვერ) გამართულა და არც ახლა ჩქარობენ ქართველები — ჩვენ კი გვინდა, დროც თავზესაყრელი გვაქვს, მაგრამ მექსიკას უნდაო?

ახლა ყველაფერი მექსიკელებზეა დამოკიდებული. ვნახოთ, რას შემოთვლიან აცტეკების შთამომავალნი. ისურვებენ კი ქართლოსიანების მასპინძლობას „აცტეკაზე“? თუ არა და ნქცაუალკოიოტლშიც მშვენივრად ვითამაშებთ.

**ლუკა თალაკვაძე**




რაც მოგვცა ტოკიომ: მძიმე ჯგუფი და საკალენდრო ციებ-ცხელება

# კალენდარი ფიქცია

კალენდარი... ასეთი საბუთი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონია. ფეხბურთის ფედერაციამ (გარდაცვლილმა თუ ცოცხალმა) დღემდე ვერ მოახერხა, ნაკრებისთვის ამხანაგური მატჩების კალენდარი შეედგინა. ოფიციალურ შეჯიბრებებში მონაწილეობის განრიგს რიგრიგობით, ხან ფიფა გვიმტკიცებდა და ხანაც უეფა, თუმც არც ერთი მათგანი ყოფილა ხელსაყრელი ქართული ფეხბურთისთვის.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვე შესარჩევი ჯგუფის კალენდარი უნგრელებმა შეიდგინეს თავიანთთვის. ეს ყველამ აღიარა და ამაში არაფერია საკამათო.

მაინცდამაინც უკმაყოფილონი არც რუმინელები და იტალიელები არიან. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობსო, თქმულა და რუმინეთ-იტალიისთვის სულ ერთი იყო, რა სახის იქნებოდა ის ჩვენი ცოდვით სავსე კალენდარი. ორივე ფავორიტია და არა აქვს მნიშვნელობა, სად, როგორ, ვისთან დაიწყებენ და დაამთავრებენ შესარჩევ ციკლს. ისინი დიდები და ძლიერები არიან.

საკითხავია, რა უნდა ქნან საქართველომ და ჩვენნაირმა ლიტვამ?! ბალტიისპირელებს კიდევ რა უჭირთ, მათ იციან, რომ კორეა-იაპონიაში მოხვედრის მიზერული შანსიც კი არ გააჩნიათ. ითამაშებენ, გამოცდილებას შეიძენენ, დოლარებს დაითვლიან. მწვანეები კი ექნებათ. ამ მხრივ იტალიასთან ჯგუფში მოხვედრა მეტად მომგებიანია.

საქართველომ რა უნდა მოიმკას? რა და ბევრი ფული და ცოტა ხარჯი. კორეა-იაპონიას კი, გარწმუნებთ, აქედანვე დაუქნიეთ ხელი და მომავალი შესარჩევი ციკლისთვის იფიქრეთ.

სულ ტყუილი ქადილია, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ვიბრძოლებთო, რომ გაიძახიან ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები. დღეს მომგებიანი კალენდარი ჩამოგიტანეთო, გვამადლის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია. თითქმის ვეთანხმები გენსეკს, ოღონდ იმაში, რომ ფედერაცია მინიმალური ხარჯებით ჩაამთავრებს 2000 წელს. დანარჩენ საკითხებში ბოდიში, ბატონო ვალერი, თქვენს მიერ ჩამოტანილ კალენდარში არსადაა გათვალისწინებული ეროვნული ნაკრების ინტერესები.

მოდით, ტყუილი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, კალენდარს ჩავუღრმავდეთ: საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს 7 ოქტომბერს, ლიტვასთან გასვლითი მატჩით იწყებს. ლიტვურ საფეხბურთო მეურნეობაში ახლა დიდი არეულობაა. ბალტიისპირელები ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობისთვის ემზადებიან. მათთან, ალბათ, ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შემოდგომამდე დალაგდებიან და ყოველნაირად ეცდებიან, პირველი საშინაო მარცხი არ განიცადონ.

ვთქვათ, მოახერხა ნაკრებმა ლიტვაში მოგება. ოთხ დღეში იტალიელები გველიან და როგორ ფიქრობთ, იმის საფუძვლიანი შანსი გვექნება, აპენინელებს ქულა მაინც ავაღლიტოთ?! მგონია, რომ არა.

სამაგიეროდ, ფეხბურთის ფედერაცია ერთი ჩარტერული რეისით თავიდან მოიცილებს ორ გასვლით შეხვედრას. ფინანსურად, რასაკვირველია, მომგებიანი გახლავთ კალენდარი.

კარგით, 2000 წელს თავი ვანებოთ და ერთი წლით წინ გავიხედოთ. 28 მარტს საქართველო-რუმინეთია. ეს მატჩი პირდაპირ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ რომ გამართულიყო, მაშინ საწუწუნოც არა გვექნებოდა. მოგეხსენებათ, ბელგია-ჰოლანდია მოვლილი რუმინელები ჰაჯის, დან პეტრესკუს და კიდევ ორიოდ მოთამაშეს მოისაკლისებენ. ვეტერანებმა აქედანვე განაცხადეს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სანაკრებო კარიერას ვამთავრებთო.

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გვარიანი დროა მარტის ბოლომდე. რუმინეთი მოასწრებს ნაკრების მოდერნიზაციას, ჩამოვა, მოგიგებს, თანაც მოიქცევა ძალიან უხეშად, მოშარდავს ეროვნულზე (ანაც სხვა სტადიონზე, რა მნიშვნელობა აქვს), ბურთის მიმწოდებელ ქართველ ბიჭუნებს დააწიოკებს და წავა გახარებული. დავრჩებით ქართული ფეხბურთის ქომაგები გულგახეთქილები და დაბოღმილები.

2 ივნისს იტალიელები გვესტუმრებიან. მაქსიმუმის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შეგვიძლია, სკუადრა აძურასთან ფრეა. ერთი კინკილა ქულა მატჩში, რომელსაც გინდა თუ არა, მთელი ენერგია უნდა შეალიო. არ არის გამორიცხული, ზედმეტი ყვითელი (უარეს შემთხვევაში წითელი) ბარათები და ტრავმები. ეს იმ დროს, როცა ოთხ დღეში უნგრეთი გელის. თუ კორეა-იაპონია გესიზმრება, უნგრეთთან წაგების უფლება არა გაქვს. შეძლებს კი ბუდაპეშტში მოგებას იტალიელებთან ბრძოლაში ნატანჯი საქართველო? ძალიან საეჭვოა.

შესარჩევი ციკლის დამაგვირგვინებელი მატჩი ხომ ისეთია, რომ უარესს ძნელად ინატრებ — შეხვედრა სტუმრად რუმინეთში.

ჰოდა, ამის შემდეგ ფეხბურთის ფედერაცია ახლახან დამტკიცებული კალენდრის ვარგისიანობაზე დებს თავს. ეს არ ნიშნავს გულშემატკივრებისთვის თვალში ნაცრის შეყრას, ეს ტყუილზე საზარელი რამაა.

ფედერაციას ის უჯობდა, გულახდილი ყოფილიყო, ხმამაღლა განეცხადებინა — შევხედოთ სიმართლეს თვალებში, დღევანდელი ყოფით ვერანაირ ჩემპიონატზე ჩვენ ვერ მოვხვდებით. ახლა ფინანსურად მოვღონიერდებით, ათასგვარ ვალებს გავისტუმრებთ, დავლაგდებით, წელში გავიმართებით და მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატზე მერე ვისაუბროთო.

ფეხბურთის ფედერაციამ ყველა ვალი რომ გაისტუმროს, ყველაფერს თავი დაადგას, ვერაფრით გადაიხდის ქართული ფეხბურთის ქომაგთა ვალს.

რომელ კანონში წერია, საკუთარ ხალხს ეროვნული ნაკრების თამაშის ცხადლივ ხილვა ერთი წლით აუკრძალო? არსად, არც ერთი ფედერაცია არ ჩაიდენს მსგავს საქციელს.

რა დიდი მიხვედრა სჭირდება, რა პასუხს გასცემს ამ კითხვას ფეხბურთის ფედერაცია. სტადიონები არ გვაქვს წესრიგშიო, იტყვიან უმალ.

ვისი ბრალია სტადიონები რომ არ გვივარგა? ამაზე პასუხი პირველ რიგში ფეხბურთის ფედერაციასა და ზოგიერთ სახელმწიფო ინსტანციას მოეთხოვება.

ცოტაც და მზად იქნება სტადიონი ქუთაისში. ასლან აბაშიძემ მერაბ ჟორდანიას აღუთქვა, სექტემბერში ისეთი სარბიელი გვექნება, ფიფა-უეფა ვერაფერს დაგვიწუნებსო. ერთი სასტუმროს საკითხია ლიად ქუთაისში და არც ეს გახლავთ უსაშველო.

სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე მწამს, ჩვენი ეროვნული სტადიონის კეთილმოწყობას ერთი კი არა, ათი წელი არ ეყოფა. იქაურობა სტადიონს ძნელად მოაგონებს კაცს, უმჯობესია, სულ მთლიანად სავაჭრო ცენტრად გადაკეთდეს.

კიდევ რკინიგზის შეფს, აკაკი ჩხაიძეს შევეხვეწოთ, იქნებ დროულად დასრულდეს ვაკეში მშენებარე სტადიონი, თორემ ფიფა-უეფა ეროვნულზე მაინც არ გვათამაშებს.

გაუგებარია, რისთვის იყო საჭირო ქართული ფეხბურთის მთელი ნაღების ერთად თავშეყრა, ორი მწვრთნელი, მწვრთნელთა საბჭო და ამდენი გაუთავებელი ლაპარაკი მსოფლიოს ჩემპიონატზე. იმისთვის რომ, ქართული ფეხბურთი ისევ ულონო ყოფილიყო?

რომელი ჭკვიანი იქნება მხოლოდ ღვთის ანაბარა. წარმატებას რომ მიაღწიო, გუნდი უნდა გივარგოდეს, ჩემპიონატი ჩემპიონატს ჰგავდეს, ნაკრებს ამხანაგური მატჩები სჭირდება და სხვა ათასი წვრილმანი.

გუნდი სანახევროდ დაშლილია, ჩემპიონატი რაც არის, კარგად ვხედავთ, ამხანაგურები კი თითო-ოროლა თუ მოიჩხრიკება.

სულ ბოლოს ერთი მოკრძალებული კითხვით მივმართავ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს: ბატონო ვალერი, უნგრეთის ფეხბურთის წარმომადგენელმა თუ მოახერხა თავისი ეროვნული გუნდისთვის მეტად ხელსაყრელი კალენდარი მოეპოვებინა, რატომ ვერ მოახერხეთ თქვენ?

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია (ყველანაირად) საქართველოსაზე უარესი თუ არა, უკეთესიც არ გახლავთ. უნგრული ფეხბურთი ღრმა კრიზისშია, იქაური კლუბები ჩვენებურებივით გაღლეტილი.

უნგრელები თუ ტრადიციებით და წარსულით იამაყებენ, მაშინ ჩვენც მოვიწონებთ როგორმე თავს.

თუმცა, ალბათ, უნგრეთი ერთი რამით მაინც გვჯობია, იქაურ ფედერაციას საკუთარი შენობა მაინც ექნება, ჩვენს ფედერაციასავით არ იქნება სხვაგან, სამადლოდ თავშეფარებული. იქ, ალბათ, არ იკარგება ოთახებიდან ათასები.

მაშ ასე რატომ, რატომ და რატომ?

**მამუკა ქვანტალიანი**

# მიოლერ-ნილსენმა საჩვენოდ რევივოს და ბერკოვიჩს უხმო

## ისრაელი ოთხი ლეგიონერით ითამაშებს

გუშინ ისრაელის ნაკრების დანიელმა მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ ნილსენმა 29 მარტს საქართველოსთან ამხანაგური მატჩისთვის გუნდში ვიგოს სელტელი ჰაიმ რევივო დააბრუნა. რევივო 13 ნოემბრის სკანდალის შემდეგ მოკვეთილი იყო ნაკრებიდან. შეგახსენებთ, მაშინ ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფში ისრაელი 0:5 განადგურდა დანიასთან და ეს მარცხი მატჩის წინა დღეს ნაკრების ფეხბურთელების მეძავებთან გართობას დაბრალდათ.

„ძალიან მინდა, გუნდს დავუბრუნდე, თუმც ნაკრების ტექნიკურ მენეჯერ სტუჩინსკისთან რაღაც-რაღაცეები კვლავ გასარკვევი მაქვს“ — ასეთი კომენტარი გაუკეთა სელტელმა მიოლერ-ნილსენის გადაწყვეტილებას.

დანიელმა მწვრთნელმა საქართველოსთან სულ ოთხი ლეგიონერი გამოიძახა. რევივოს გარდა ესენი არიან: იტალიის სერია B-ში მოთამაშე „ბრეშიას“ ფეხბურთელი ტელ ბანინი, უიმბლდონელი ვალიდ ბადირი, რომელმაც ბოლო ამხანაგურში რუსებს ორი გოლი გაუტანა და გლაზგოს „სელტიკის“ ფორვარდი ეიალ ბერკოვიჩი, რომელიც ეროვნული გუნდს კარგა ხანია, ჩამოაშორეს. იგი ნაკრებიდან ყოფილმა მწვრთნელმა, შლომო შარფმა გაუშვა. ამის მიზეზი ეიალის ერთობ ქედმაღლური ხასიათი იყო. მან ჯერ საჯაროდ გალანძღა 1980-90-იან წლებში ისრაელის ნაკრების ვარსკვლავი ელი ოჰანა, შემდეგ კი „სელტიკის“ მეკარე ჯონათან გოულდი შემოელახა.

ბერკოვიჩი 26 მარტს „სელტიკთან“ ერთად ითამაშებს და ამის მერე შეუერთდება ნაკრებს.

რიქარდ მიოლერ-ნილსენმა ამჯერად ნაკრების მიღმა დატოვა ესპანური „მერიდას“ ნახევარმცველი იდან ტალი, რომელმაც რუსებთან ითამაშა და შვეიცარიის გრასჰოპერელი აბი ტიკვა.

„ამჯერად აქცენტს ისრაელში მოთამაშე ფეხბურთელებზე გავაკეთებ. ბევრი ადგილობრივი და ცოტა ლეგიონერი — ასეთი იქნება ჩვენი პოლიტიკა მომავალშიც“ — განაცხადა ნილსენმა.

ნაკრებში ასევე იქნებიან გიორგი ქინქლაძის ყოფილი თანაგუნდელი ავი ნიმნი, რომელიც კვლავ თელ ავივის „ჰაპოელს“ დაუბრუნდა და ჰაიფას „მაკაბელი“ იასუ ბენაუინი. ამ უკანასკნელს „მაკაბის“ მწვრთნელ ელი კოენთან კონფლიქტი აქვს, თუმცა ნილსენმა თქვა, რომ მას ეს არ ეხება.

ჯერჯერობით შეხვედრის ადგილად კვლავ ზღვისპირა აშქელონი რჩება. თარიღიც უცვლელია — 29 მარტი, თუმც თუ მანამდე ამინდი შეიცვალა, ფედერაციას მეორე ვარიანტიც აქვს, მატჩი შეიძლება თელ ავივში ან ჰაიფაში გაიმართოს.

**სიმონ მენაბდე**

# ლამპიონების გაუნათებლად

## ხელცივობას ხელმოკლეობა შეეშველა

ერთი სული აქვთ ქუთაისელ ფეხბურთის ქომაგებს, „ტორპედოს“ სტადიონზე ღამის განათება იხილონ. თვეზე მეტია, იმერლებმა „სიმენსის“ ფირმის პროჟექტორები დაამაგრეს რკინის ბოძებზე და ვერა და ვერ დატკბნენ 1200 ლუქსის ეფექტით.

29 მარტს მათი ცნობისმოყვარეობა უნდა დაკმაყოფილებულიყო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების რუს თანატოლებთან თამაში საღამო ხანს დაეგეგმათ და ხალხიც ნათელი სპექტაკლის ცქერის მოლოდინს შეეპყრო, თუმცა...

არა, შეხვედრა აუცილებლად გაიმართება და აუცილებლად ქუთაისში, მაგრამ დღის შუქზე. მიზეზს ახლავე მოგახსენებთ. რამდენიმე დღის წინ ფედერაციიდან 40 612 დოლარი რომ გაუჩინარდა, კარგად იცით. უმისამართოდ აორთქლებულმა თანხამ ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს უამრავი თავსატეხი გაუჩინა. ფულის წამლებს პრობლემებისთვის ხელი არ უხლია და უჯრაში დატოვა. ერთი წამითაც არ დაფიქრებულა თანამშრომლების ხელფასებზე, ნაკრებთა უახლოეს ამხანაგურ მატჩებსა და სტუმართა ღირსეულად გამასპინძლებაზე.

თანხის გარკვეული ნაწილი ქუთაისური შეხვედრის კარგად ორგანიზებაზე და რუსი ახალგაზრდების დაბინავება-დაპურებისთვის ყოფილა განკუთვნილი. ფედერაციაც საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მშველელად ჩრდილოელი მეზობლები მოევლინა. იქაურებსაც შეეჩვია ხელცივი მავანი თუ რა, ასე შემოუთვალათ — მცირე დანახარჯების მიზნით გუნდი „იაკ 40“-ით გადმოფრინდება, ერთ საათში ითამაშებს მალევე უკან გამობრუნდებაო.

აბა, ვის რაში აძლევს ხელს, ტანმორჩილმა თვითმფრინავმა ქუთაისის აეროპორტიდან გვიან აიღოს გეზი და რუსი ახალგაზრდა ფეხბურთელები ვარსკლავების შუქის იმედად გააფრინოს მოსკოვში.

ჰოდა, შეხვედრაც შუადღეზე შედგება. კონკრეტულად რომელ საათზე, მაშინ გადაწყდება, როცა „იაკ-40“ ქუთაისის საჰაერო სივრცეში შემოგუგუნდება. ფრენით დაღლილ ფეხბურთელებს საღორიის ბაზაზე მოასვენებენ, იმერულ ხაჭაპურს გაატეხინებენ და საბურთაოდ „ტორპედოზე“ მიაბრძანებენ.

მატჩის შემდეგ სამხარით გაუმასპინძლდებიან და როგორც მოსვლით გვასიამოვნეთ, ისე დაუბნელებელში გაფრენით გაგვახარეთო — ეტყვიან ზრდილობიანად. სტუმრის მიღება და მასპინძლობა არ ესწავლებათ იმერლებს, მაგრამ რას იზამ. თუ სტუმარი ხელმოკლეობას უჩივის და გაქცევაზეა, მისი შეყოვნება და თავპატიჟი უადგილო ხდება, თანაც მაშინ, როცა ვიღაცის ხელცივობამ მასპინძელს ქისა გაუცარიელა.

**ხვიჩა სანიძიძე**



შარშანწინ გორში ჩვენმა ახალგაზრდებმა რუსებს მუჯირის (№5) გოლით მოუგეს



ადრე „ლოკომოტივს“ ასე გულშემატკივრობდნენ

# გეოლოგები რკინიგზაში

## ლოკომოტივმა საკუთარი ფანკლუბი გაიჩინა

ჯერ იყო „დინამო“, მერე ეროვნული ნაკრები, „ვიტ ჯორჯია“... ახლა თამამად შეგვიძლია მათ გვერდით თბილისის „ლოკომოტივიც“ დავაყენოთ. სულ ახლახან საფეხბურთო კლუბ თბილისის „ლოკომოტივთან“ შეიქმნა ნებაყოფლობითი საზოგადოება, საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ გულშემატკივართა კავშირი, ანუ იგივე ფანკლუბი. დამტკიცდა მისი წესდება და აირჩიეს მმართველი ორგანო. „ლოკომოტივის“ გულშემატკივართა კავშირის პრეზიდენტად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმოების ეკონომიკისა და მართვის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მამუკა წურწუმია დაამტკიცეს.

ფანკლუბს სამი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს. პირველი, დავით გაბრიელაშვილი, თსუ-ს გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტია, მეორე — გიორგი კერვალიშვილი, თბილისის ამერიკული „მომავლის სკოლის“ მეათე კლასის მოსწავლე, მესამე კი — კახა ბილაშვილი, თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი.

გულშემატკივართა კავშირის ტექნიკურ დირექტორად უნივერსიტეტის გეოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი არჩილ მელიქიშვილი აირჩიეს, ხოლო აღმასრულებელ მდივნად ასევე გეოლოგი — ზაზა აზარაშვილი.

გულშემატკივართა კავშირი იურიდიული პირი არ არის და არც თვითდაფინანსებაზეა. ფანკლუბის სპონსორი თავად ს.კ. „ლოკომოტივი“ იქნება.

„დინამოს“, ნაკრები და „ვიტ ჯორჯიას“ წამოწყებას გამგრძელებელი გამოუჩნდა. ახლა „ლოკომოტივს“ ცარიელი ტრიბუნების თვალწინ თამაშების გამართვაც არ მოუწევს. მორჩება „მიხეილ მესხის“ სტადიონის მშენებლობაც და ყიჟინა და შეძახილებიც იქ გადაინაცვლებს.

ვისაც რკინიგზელთა ქომაგობა მოესურვება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეუძლია გაწევრიანება, რაც ყველაზე მთავარია, მათ საწევროს გადახდა არ დაეკისრებათ. დაინტერესებულთ შეუძლიათ დარეკონ შემდეგ ტელეფონზე: 99-30-82.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ბულგარელებმა ზირაქიშვილი დაითხოვეს

ბულგარეთის უმაღლესდივიზიონელმა პეტრიჩის „ბელასიცამ“ ქართველი ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი გაათავისუფლა. გუნდის ახალმა მწვრთნელმა პეტრე კურდოვმა ამის მიზეზად ბურთის ართმევისას ცუდი თამაში, სუსტი ფიზიკური მომზადება დაასახელა.

ზირაქიშვილი „ბელასიცაში“ ვარნის „სპარტაკიდან“ მივიდა. თბილისის „დინამოს“ ფორვარდმა იანვარში პირველად ამ ბულგარულ კლუბს მიაშურა, თბილისის „არსენალის“ მცველ შალვა ლაცაბიძესთან ერთად. ვარნელებმა ორივე გამოისტუმრეს, ლაცაბიძე თბილისში დაბრუნდა, ზაზამ კი „ბელასიცას“ მიაშურა.

პეტრიჩელთა გუნდში ზირაქიშვილი თსუ-ს მცველ კობა ნინუასთან ერთად ჩაირიცხა, „დინამოს“ და თსუ-ს ამ ტრანსფერებიდან კაპიკი არ მიუღიათ.

ბულგარეთის უმაღლესი დივიზიონის მეორე ეტაპზე პეტრიჩელებმა სამი შეხვედრა გამართეს (ორი წააგეს, ერთი მოიგეს). ქართველები მოედანზე ერთხელაც არ გამოჩენილან. ნინუა მზადებისას დაშავდა და საფუძვლიან ვარჯიშს მხოლოდ გუშინ შეუდგა.

„ბელასიცა“ ახლა მეთორმეტეა 20 ქულით და გასავარდნებს 4 ქულით სჯობს.

— ახალმა მწვრთნელმა გუნდში ახალი თავდამსხმელი თვითონვე მოიყვანა და მივხვდი, იქ აღარაფერი მესაქმებოდა.

„ბელასიცასთან“ არაფერი მაკავშირებს. ისევ თბილისის „დინამოს“ დავუბრუნდი. ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციიდან უკვე მოვიდა სატრანსფერო ფურცელი და თუ ოთარ კორღალიძე საჭიროდ ჩათვლის, შესაძლოა, შაბათსვე ვითამაშო „ბათუმთან“,

**სიმონ მენაბდე**

# ჩალაძემ დუისბურგს გაუტანა

იტალიური შეკრების შემდეგ ლატვიის ჩემპიონმა რიგის „სკონტომ“ გერმანიაში გადაინაცვლა და მზადებას ახლა იქ განაგრძობს. გუშინ „სკონტო“ ამხანაგურად გაეჯიბრა ბუნდესლიგელ „დუისბურგს“ და 1:3 დამარცხდა. მატჩი რიგელთათვის თავბრუსდამხვევი სისწრაფით დაიწყო. უკვე მე-17 წუთისთვის გინტარას სტაუჩეს გუნდი 3:0-ს იგებდა. „სკონტოს“ რიგებში ითამაშეს ჩალაძემ, კორღალიძემ, მენთეშაშვილმა და რეხვიაშვილმა. ერთადერთი საპასუხო გოლი დავით ჩალაძემ გაიტანა. მომდევნო ამხანაგურ შეხვედრას რიგელები მეორებუნდესლიგელ მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ გამართავენ.

**სიმონ მენაბდე**



## საუბრები ღმერთთან

### საუბარი მეოთხე

მე პატარა ქვეყნის პატარა კაცი ვარ — ჩემი პატარ-პატარა წყენითა და სიხარულებით. ნეკისოდენა მწყინს და ნეკისფრჩხილისოდენა მიხარია. მართალია, ამ ბოლო ხანს უსიხარულობა გვტანჯავს ქართველებს, მაგრამ ჩვენს ოპტიმისტ გენოფონდს ვენაცვალე (ვეხუტუნე და შემოვევლე) მე, გასახარელის მოძებნა გაგვიჭირდება ჩვენ,... ჩვეენ... ჩვეეენ?!

შუქი მოვა? გვიხარია (ფეხბურთს, „მაესტროს“, „ტელეკომუნიკატორს“ და „ფორტუნას“ ვუყურებთ), წავა და ამაშიც შეიძლება სასიხარულო რამ დაინახო ქართველმა კაცმა — ორიოდე წუთში სხვა უბნებსაც ჩაუქრობენ, ესე იგი, სხვებზე უარესი არაფრითა ხარ და მავანი პარლამენტარიც ისეთივე სიბნელეში ზის, როგორშიც შენ. გუშინწინ გაჩახჩახებული თბილისი რომ მანჩესტერელთა საცოდაობას უცქერდა (ძაბვა დაუვარდათ „ოლდ ტრეფორდზე“ მაგ საცოდავებს), არ იყო გასახარელი? ესე იგი, ევროპას ვეწევით, ან... ან ევროპა გვიცდის ცივილიზაციის ნატკეპნ ბილიკებზე და ხალხთა ძმობას რამე სჯობს?

აი, ასეთი სიხარულებით ვცხოვრობ მე.

იმ დღესაც, დემემ რომ „რეალს“ შეუსრულა, მოვდიოდი და ჩემთვის მოვღიღინებდი „დინამო, დინამოს“ (ბევრს კიევისას და ცოტას ჩვენსას ვგულისხმობდი), თან ერთი წამით ჩემი თავი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად წარმოვიდგინე (სადაც ორი, იქაც სამი და თან პარიტეტულ საწყისებზე) და ისიც დავგეგმე, როგორ დავუმშვიდებდი გულს ქართველ ქომაგს (ვისაც ჯერ არ გასკდომია).

ფორმას იგივეს დავუტოვებდი ბიჭებს, ჰიმნს კი აუცილებლად გამოვცვლიდი (ხომ ცვლიან გერმანელები) და — „გიხაროდენ, გიხაროდენს“ დავაკანონებდი. აბა რა, გამარჯვებულთა ჰიმნია — მოქალაქეების. და როცა ფონოგრამას (უკაცრავად, ვიდეოფირს) ჩართავდა გენა ან ვინმე, რა ამაყად მოვუხმობდი ჩემს ლომებს — დათო! ლევან! კახა! გია! გიო! გოჩა! სოსო ჩამოვიდა, გრიშიკაშვილი?! ზაზა! თემურ! კიჭას ბიჭები! ჩვენი მიშიკო! და ასე. პირდაპირ სპექტაკლად ვაქცევდი ნაკრების შეკრება-ვარჯიშებს... ვენაცვალე (ვეხუტუნე და შემოვევლე) ჩვენს არტისტულ გენოფონდს, ფეხბურთსაც რომ სპექტაკლად ვაქცევთ-ხოლმე!

დაახლოებით ამგვარ ფიქრებში ვიყავი და ლამის ნირვანაში წავედი (ალავერდი დიეგოსთან), რომ ნაცნობი შემომხვდა, ისიც უსაშველო გულშემატკივარი და „შინდისფერების“ გულდამწვარი ჭირისუფალი (მაგრამ ჩემსავით მწვრთნელობას ვერ გაქაჩავს) და — კალენდარი ნახეო? — მკითხა. არა-მეთქი. აჰაო — მომიგდო გაზეთი. თვალი სტრიქონებს ჩავაყოლე, მატჩთა განრიგს ჩავუღრმავდი და...

### ღმერთთან (მისაღებში)

ნელა-ნელა გავაპარე მზერა. კალთამადლიანი კურნიკოვას ქალი ზედ გადმომხობოდა და ხელოვნურ სუნთქვებს მიტარებდა. წარმოიდგინეთ თქვენი თავი ჩემს ადგილას — ფიქრებს თავს ვეღარ ვუყრიდი. ჩაისუნთქავდა ანანო, შეკრულ კრიჭაზე თავის მარწყვის ტუჩებს მომაწებებდა და იმგვარად ჩამაორთქლებდა, ჩემი საცოდავი ფილტვები ბექემის დაპანჩურებულ სიმეონესავით ფართხალებდა. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, რა გამომაფხიზლებდა — მიმიშვი, მე ვცდი, მომესმა მამაკაცის ხმა. ოდნავ ავწიე ქუთუთოები და ვიღაც ვეფხისტყაოსანი ყმაწვილი შევნიშნე. ყველაფერი გადამავიწყდა — ტარიელ, ძმაო, აიღე ქაჯეთი? წამო, აფხაზეთი დავიბრუნოთ — მაგრამ ჩემი პატრიოტული აღტკინება რომ უპასუხოდ დარჩა, შევცბი — ტარიელ! — დავუწიე ხმას. — ტარიელი არა, პავლე — გამიღიმა ვეფხისტყაოსანმა. — ვინ პავლე? — ვერ დავმალე გაკვირება — ბურე — ახლა ანამ გამიღიმა და ყველაფერს მივხვდი — კი, მაგრამ... — ტანსაცმელზე ვანიშნე „რაკეტას“ — ააა, ვიწიაზ ვ ტიგრავოი შკურე — მიმიხვდა პავლე —„ფლორიდა პანტერზ“. — ააა — ახლა მე მივუხვდი. მინდოდა ნჰლ-ზე წამეჭორავა ცოტა, მაგრამ ანა აიწია. პირდაპირ კალთაში ჩაუხტა პავლეს და მერე ისეთებს მიჰყვეს ხელი (ფეხი, თავი, ტანი), ვგონებ, უფლის მისაღებში კი არა, ფლორიდის „დიკი“ პლაჟზე ეგონათ თავი. უხერხულად ჩავახველე. ბურემ ანას ფორჰენდ-ბექჰენდებით დაკუნთულ მკლავებს თავი დააღწია და მის მხარს ზემოდან გადმომხედა — რამე ხომ არ გაგვეცვალა, ვინ იცის, როდის შევხვდებით. თავი დამიქნია თუ არა, ეგრევე ჩემს „პოლიოტს“ ვეცი და შევიხსენი. პაველს თვალები შუბლზე აუვიდა, მაგრამ სიტყვას უკან ხომ ვერ წაიღებდა.

ყვავს კაკალი გავაგდებინე და ესეც საქმე იყო. იმგვარი მარტივი და გენიალური კომბინაცია გამომივიდა, ლარიონოვ-კრუტოვ-მაკაროვის სამეულს მუხლები ჩაეკეცებოდა. ამაყად დავხედე ჩემს მაჯას — ის ოცდაშვიდმანეთიანი „პოლიოტის“ მაგიერ ოცდაშვიდათასიანი „ბურეს“ მარკის საათი იწონებდა თავს. მერე კმაყოფილებით გავწელე გადაჭდობილი წყვილს. პავლე ჰოკეისტზე მეტად ფიგურულ მოციგურავეს ჰგავდა. უკვე “პრაიზვოლნი კომპოზიციაში“ იყვნენ. ზედმეტი ვიყავი და გავიძურწე.

### ღმერთთან (ოთახში)

კარებზე წყნარად დავაკაკუნე და ნებართვა რომ მივიღე, ჩუმად ჩავეშვი სავარძელში. ერთხანს ბატისტუტას პლაკატს ვუცქირე — მაინც რა დააჯახა, ბიჭო?! კოსმიური მოზღვავება ვიგრძენი, თავი ავწიე და თურმე უფალი მიყურებდა.

— როდის მერე გახდი ასეთი ჩუმი და ზრდილობიანი? — მკითხა მამაზეციერმა — ზრდილობამ გაგვწყვიტა ქართველები, თორემ ახლა ჩემპიონთა ლიგაში ვიქნებოდით — ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

— ვერ გავიგე?! — რა ვერ გაიგე, ღმერთო, აბა, „ზიმბრუ“ მართლა „დინამოზე“ ძლიერი გგონია? ან „ბაიერს“ შინ თუ მოვუგეთ, გერმანიაში ფრეს ვერ გავუგორებდით? „ბილბაოს“ კი კიკნაძემ შეგნებულად არ გაუტანა გოლი, ბასკები ჩვენი ნათესავები არიან — მივაყარე და მივაყარე.

— ე, სწორედ მაგ ნათესაობამ დაგღუპათ თქვენ — არ დამინდო მამაზეციერმა — თორემ ის ბავშვი „ლოკომოტივში“ უპატრონოდ გასაშვები იყო? — ვინ ბავშვი? — ვინ და გავროში, კაკაშვილის ბიჭზე გეუბნები — მე რა შუაში ვარ — აბა, რომ მოდიხარ და პრავებს მიკაჩავებ, ამას გაატანინე, იმას გაატანინეო, ვინ ხარ შენ, მოგზავნილი ხარ?

—არავინ არ ვარ, ბატონო, ავდგები, წავალ იმ სავულკანე დედამიწაზე და პირს აღარ ვიზამ აქეთ. მაინც ტყუილად დავდივარ — ტყუილად არა, ბიჭო, „პრაეზდნოის“ მოგცემ, მეტროში ხომ არ გგონია თავი — დამცინა უფალმა — დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, ისედაც ყელამდე ვარ პატივისცემით, დემეტრაძეს გაატანინე-მეთქი და იეროს გაატანინე, ულრმესი მადლობა.

— თქვენ გამაგიჟებთ — ხმადაბლა დაიწყო ღმერთმა და ნელ-ნელა აუწია ხმას, ბოლოს ყვირილზეც გადავიდა — ქინქლაძეს გავატანინე? დემეტრაძეს პენალტი ავაკიდებინე?...

— არა იცრუოო, შენ არ გვასწავლი? — ჩავერიე მე — ვინ იცრუა მერე? — დაიძაბა უფალი.

— პენალტი არ იყოო, ხალხი იძახის — ვინ ხალხი, ბიჭო, ხალხი აქ მყავს, ზეცაში, მაგის მთქმელებს უთხარი, ენას კბილი დააჭირონ და ბიჭი არ დათარსონ, ძლივს ჩაუდგა სული საწყალმა ლობანოვსკიმ — რა ვიცი, ამის წინ რომ ვიყავი, ბატისტუტაო, „ფიორეო“ და 3:1 რომ წააგეს, კარგია? გაუშვი დემე, ისევ თავისით იჩალიჩოს, თორემ კიევსაც „ფიორენტინასავით“ მოუვა „ბაიერნთან“. — ოჰ, შენ არ მოესწარი იმ თამაშს, დაანებე ენის ტლიკინს თავი. თორემ მიგიდისკვალიფიკაცებ ერთ დღეს იქნება და ნახავ მერე — ეგ არ ქნა, უფალო და ულვაში შემირცხვეს, თუ აწი ენა შემოგიბრუნო, ისედაც მკრეხელს მეძახის ხალხი — თვალში ცრემლი მომაწვა მე — ვინც შენზე უცოდველია, იმან გესროლოს — გამამხნევა უფალმა და ერთხანს მიცქირა — ბიჭო, შენ აფერისტი ხომ არ ხარ, ულვაში შემირცხვესო, რომ იძახი, სად გაქვს ულვაში? — მე თუ არ მაქვს, გაზაევს ხომ აქვს? — გაზაევი რა შუაშია? — დემეტრაძეს ქომაგია ისიც. მამაზეციერმა პოლ მაკარტნივით წაუსტვინა, მერე წამოდგა და... ბურედ არ გადაიქცა?!

— რას შვები, უფალო, აგერ არაა პავლე? — გადავირიე მე — მაგერაა, თორემ ათეთრებს რამეს. თვეა, შაიბა არ გაუტანია. არადა მორჩება რეგულარული სეზონიც. რვა შაიბის გატანას ვერ დააყენეს საშველი მაგან და მაგის ძმამ. დამიძველდა შტიასნების რეკორდი, თორემ მაგათი სახვეწარი რა მჭირს?! — ხელი ჩაიქნია ღმერთმა — ჰე, გაუყევი ახლა...

...ხმაურმა გამომაღვიძა. ტელევიზორი დამრჩენოდა ჩართული. ბოლნისელები პატიაშვილს კვერცხებს უშენდნენ. რამდენი ერბოკვერცხი შეიტყაპუნა საპრეზიდენტო არჩევნებმა?

**კონსტანტინე გოგიშვილი**



პავლე დაინიშნა და ღრუბლებში დაფრინავს

## ინგლისი

### გადადებული მატჩები

**ქოვენთრი 1:0 ევერტონი**

1:0 მაკალისტერი (86)
ქოვენთრი: ჰედმანი, შოუ, ჰენდრი, ბოროუზი, გუსტაფსონი, მ. ჰაჯი, ოსტიჩი (ზუნიგა 81), მაკალისტერი, ჩიპო, ველანი, რუსელი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ევერტონი: ჟერარი, დანი, ვეირი, გუგი, კოლინზი, ბარმბი (ჯემილი 81), ჰემბრიჯი, მარკ ჰიუზი (ამსუორთი 70), შავიერი, მური (კადამარტერი 66), მაიკლ ჰიუზი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
მსაჯი: ჰელსი
18 518 მაყურებელი

**ლივერპული 0:0 ასტონ ვილა**

ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ჰიიპია, ენრიკე, კარაგერი, ტომპსონი (მეიერი 82), ჰამანი, ჯერარდი (რედნაპი 78), ბერგერი, ჰესკი, ოუენი (კამარა 66)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ასტონ ვილა: ენკელმანი, ა. რაიტი, საუთგეიტი (ტეილორი 52), ეჰიოგუ, დილანი, ბერი, ბოატენგი, მერსონი (ჰენდრი 59), სტოუნი, ჯოუჩიმი (რ. უოკერი 88), კარბონე
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ბერი
მსაჯი: ბენეტი
43 615 მაყურებელი

ოთხშაბათი ჩემპიონთა ლიგის ტრადიციულ დღედ იქცა. მთელი საფეხბურთო ევროპა ამ დღეს ლიგის მატჩებს უცქერს. კვირის შუა დღეებში წამყვან ევროპულ ჩემპიონატებში მოასპარეზე გუნდები იშვიათად თუ ხვდებიან ერთმანეთს. ყველამ იცის, რომ ამისთვის შაბათ-კვირა არსებობს.

გუშინწინდელი დღე ამ მხრივ მცირე გამონაკლისი იყო. პრემიერლიგის ორი შეხვედრა გაიმართა. მათგან უდავოდ საინტერესო „ლივერპულისა" და „ასტონ ვილას" დაპირისპირება გახლდათ.

„ლივერპულს" ჩემპიონობის ამბიციები ნაკლებად თუ ამოძრავებს. გუნდი ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე საკმაოდ ჩამორჩა. ჟერარ ულიეს მთავარი საფიქრალი ალბათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა.

„ენფილდზე" გამართული მატჩი საკმაოდ დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მაიკლ ოუენმა გოლის გატანის ბრწყინვალე შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, პირველ ტაიმში პენალტი ააცილა, საბოლოოდ კი შეხვედრა ფრედ — 0:0 დასრულდა.

ოუენის მხარდამხარ მატჩი სასტარტოში დაიწყო ლივერპულელთა ახალშეძენილმა ემილ ჰესკიმ, რომელიც რამდენიმე დღის წინ „ლესტერიდან" 11 მილიონ გირვანქად გადაბარგდა, თუმც შავკანიანმა ფორვარდმა პირველი გოლის გატანა და თავის გამოჩენა ვერ მოახერხა.

„ლივერპული" საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. პატრიკ ბერგერმა და ტიტი კამარამ კარგი საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ბირმინგემელთაგან კი ყველაზე რეალური შანსი ჯულიან ჯოუჩიმს შეექმნა, მაგრამ ვერც მან იყოჩაღა. საბოლოოდ ფრე — 0:0 და „ლივერპული" მესამე, ხოლო „ასტონ ვილა" მეექვსე ადგილზე დამკვიდრდა.

„ქოვენთრი" — „ევერტონის" შეხვედრაში მატჩის ბედი ვეტერანმა ნახევარმცველმა მაკალისტერმა გადაწყვიტა, რომელმაც მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე „ევერტონის" კარი დალაშქრა და თავის გუნდს მეტად საჭირო სამი ქულა მოუპოვა.

„ევერტონის" რიგებში გამოჩნდა უელსელი ვეტერანი მარკ ჰიუზი, რომელიც „საუთჰემპტონიდან" სულ რამდენიმე დღის წინ გადაბარგდა, მაგამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და დებიუტი აშკარად ჩაუშხამდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 28 | 18 | 7 | 3 | 63:35 | 61 |
| ლიდსი | 28 | 18 | 3 | 7 | 44:30 | 57 |
| ლივერპული | 28 | 14 | 8 | 6 | 40:23 | 50 |
| ჩელსი | 28 | 14 | 8 | 6 | 39:25 | 50 |
| არსენალი | 28 | 14 | 6 | 8 | 48:30 | 48 |
| ასტონ ვილა | 29 | 11 | 10 | 8 | 33:25 | 43 |
| ტოტენჰემი | 28 | 12 | 6 | 10 | 43:32 | 42 |
| ევერტონი | 29 | 10 | 11 | 8 | 48:38 | 41 |
| სანდერლენდი | 28 | 11 | 8 | 9 | 45:43 | 41 |
| ვესტ ჰემი | 28 | 11 | 8 | 9 | 39:39 | 41 |
| ლესტერი | 27 | 11 | 5 | 11 | 41:40 | 38 |
| ნიუკასლი | 28 | 10 | 7 | 11 | 47:42 | 37 |
| მიდლსბრო | 28 | 10 | 6 | 12 | 30:39 | 36 |
| ქოვენთრი | 29 | 9 | 8 | 12 | 36:36 | 35 |
| უიმბლდონი | 28 | 7 | 11 | 10 | 39:50 | 32 |
| საუთჰემპტონი | 28 | 8 | 6 | 14 | 33:51 | 30 |
| დერბი ქაუნთი | 28 | 7 | 7 | 14 | 33:42 | 28 |
| ბრედფორდი | 28 | 6 | 8 | 14 | 28:45 | 26 |
| შეფილდი | 28 | 5 | 6 | 17 | 27:55 | 21 |
| უოტფორდი | 28 | 4 | 3 | 21 | 24:60 | 15 |


ALL SPORT ლივერპულიდან

ლივერპული — ასტონ ვილა 0:0. ბირმინგემელი ჯულიან ჯოუჩიმი (შუაში) მასპინძელთა ალყაში


# LEVON TRAVEL

## ლევონ თრეველი გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დასწრებას

- გაატარეთ 6 დაუვიწყარი დღე პარიზში, 20-26 მაისს.
- ცხოვრება სამვარსკვლავიან სასტუმროში საუზმით, ექსკურსია პარიზსა და მის შემოგარენში.
- ავია და მატჩზე დასასწრები ბილეთები, დახვედრა-გაცილება.
- საგზურის ღირებულება 1190 აშშ. დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა 29 მარტი.

ადგილები შეზღუდულია

მის: ჭავჭავაძის გამ. 20, ტელ. 25 00 10/25 00 60, მობ. 8 99 53 78 45



ხრისტო სტოიჩკოვი

# ამერიკაში სიზმრე ტკბილია

## ლოთარ მათეუსს ხრისტო სტოიჩკოვიც მიჰყვა

ამერიკულ ფეხბურთს კიდევ ერთი გამოცდილი ევროპელი შეემატა. ბულგარული ფეხბურთის ვარსკვლავი ხრისტო სტოიჩკოვი უმაღლესი საფეხბურთო ლიგის კლუბ „ჩიკაგო ფაიარში" გადაბარგდა. ვეტერანი თავდამსხმელი ოთხშაბათს ამერიკას ეწვია და ახალი გუნდის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. იმედოვნებენ, რომ სტოიჩკოვი „ფაიარსის" მაისურას მომავალი კვირიდან მოირგებს და გუნდში მინიმუმ სეზონის ბოლომდე დარჩება.

„ამერიკაში საკმაოდ საინტერესო საფეხბურთო ლიგაა, აქ თამაში ყოველთვის მიტაცებდა — განაცხადა ბულგარელმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე და დასძინა — სეზონის დარჩენილ ნაწილს „ფაიარში" გავატარებ. იმედი მაქვს, რომ ჩემი გამოცდილება ამერიკული ფეხბურთის განვითარებას წაადგება".

34 წლის სტოიჩკოვმა ბულგარულ ფეხბურთს დიდი ამაგი დასდო. მან სანაკრებო კარიერა 1987 წელს დაიწყო, ქვეყნის პირველი გუნდის ღირსება 84-ჯერ დაიცვა და 37 გოლი შეაგდო. ამ მაჩვენებლით ხრისტო მეორე ბულგარელი ფეხბურთელია და 10 ბურთით ჩამორჩება სეხნია ხრისტო ბონევს, რომელმაც ნაკრების შემადგენლობაში 47-ჯერ გაიტანა.

1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბულგარეთის ნაკრების წარმატება. უდავოდ სტოიჩკოვის სახელს უკავშირდება, ბოლო ორ მსოფლიოს პირველობაზე ხრისტო თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის წამყვანი ფიგურა იყო. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთის ნაკრები 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, იმავე წელს კი სტოიჩკოვი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა დასახელებისას საკლუბო კატეგორიაში საუკეთესო წლები თავდამსხმელმა ესპანური ფეხბურთის გრანდ „ბარსელონაში" გაატარა, ბულგარეთის საუკეთესო ფეხბურთელად კი იგი ხუთჯერ აღიარეს.

ღვაწლმოსილ და გამოცდილ ევროპელ ფეხბურთელთა ატლანტიკის გაღმა გადაბარგება თითქმის ტრადიციად იქცა. შეგახსენებთ, რომ სულ რამდენიმე დღის წინ სახელოვანმა გერმანელმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა ამერიკას მიაშურა და ნიუ იორკის „მეტროსტარზში" ჩაირიცხა.

„სტოიჩკოვი ბოლო 10 წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია" — განაცხადა „ჩიკაგო ფაიარის" გენერალურმა დირექტორმა პიტერ ვაილტმა — მისი გამოცდილება, ტექნიკა და საფეხბურთო აზროვნება ძალიან გამოგვადგება. დარწმუნებული ვარ, ხრისტოს თამაშის სანახავად „სოლჯერ ფილდზე" მრავალი გულშემატკივარი შეიკრიბება, ეს გუნდის და საერთოდ, ამერიკული ფეხბურთის პოპულარიზებას შეუწყობს ხელს".

„სოლჯერ ფილდის" არენა სტოიჩკოვს კარგად აქვს დაცდილი. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ მატჩში ბულგარელებმა ბერძნები სწორედ ამ სტადიონზე დაამარცხეს 4:0, ხრისტომ კი დუბლი შეასრულა.

„ჩიკაგოსთან და „სოლჯერ ფილდის" სტადიონთან საკმაოდ სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს — ამბობს ბულგარელი ვეტერანი — „ფაიარში" გადმოსვლაზე ამ ფაქტმაც იმოქმედა. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საფეხბურთო კარიერის დასრულება დავაპირე, მაგრამ ვგრძნობ, რომ თამაში ჯერ კიდევ შემიძლია".

„მართალია, სტოიჩკოვი 34 წლისაა, მაგრამ ასაკმა მის გამოცდილებას, მინდვრის ხედვასა და აზროვნებას ვერაფერი დააკლო — ამბობს ვაილტი — ხრისტო კვლავ ბრწყინვალე მოთამაშეა, მჯერა, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც გახდება. „ფაიარსი" საკმაოდ ძლიერი გუნდია, ყოველმხრივ ვცდილობთ, რომ ჩიკაგოს ფეხბურთი მაღალი დონისა იყოს".

**ნიკა შუბლაძე**

# ფიფას კოშმარი

ფიფა და მისი წევრი კონფედერაციები მსოფლიოს უნიფიცირებული კალენდრის შემუშავებაზე კვლავაც ინტენსიურად ფიქრობენ. როგორც გაირკვა, იდეის დახვეწას ყველაფერზე მეტად ხელს ეგრეთწოდებული კლუბებისა და ნაკრებების კონფლიქტი უშლის, ალბათ, გასაგებია რაზეცაა ლაპარაკი: ხშირად კლუბთა და ეროვნული გუნდების კალენდარი ერთმანეთს ემთხვევა, რის გამოც წამყვანი ფეხბურთელები არჩევანის წინაშე დგებიან: რომელ შეხვედრაში ითამაშონ. ეროვნული ვალი მოიხადონ თუ კლუბს უერთგულონ? ბუნებრივია, როგორც ერთი, ასევე მეორე შემთხვევაში ვილაც აუცილებლად ნაწყენი რჩება.

„ცხოვრებაში არ შევხვედრივარ ასეთ რთულ ამოცანას — ამბობს კით კუპერი, კაცი, რომელიც ძალიან დიდი ხანია ფიფას პრეს-მდივნად მუშაობს და ამავდროულად კომუნიკაციათა ოფისის დირექტორი გახლავთ. იგი, ამასწინათ, მაიმიზე „ოქროს თასის" შეჯიბრებას ესწრებოდა და საერთაშორისო ფეხბურთის საკითხებისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმს გაუძღვა.

იგი დასძენს: „ძალიან ხშირად ერთ ნაბიჯს წინ რომ გადავდგამთ, რამდენიმეთი უკან ვიხევთ. ცხადია პროგრესი იგრძნობა, მაგრამ მისი ტემპი მოსალოდნელთან შედარებით ერთიორად ნელია".

პროცესი საფეხურებად არის დაყოფილი. ამჯერად ფიფა წევრ კონფედერაციებს საერთაშორისო შეჯიბრებათა საერთო ვადების მოსაფიქრებლად მოუწოდებს. აქ იგულისხმება ძირითადი ტურნირები: მსოფლიოს ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, კოპა ამერიკა, კონკაკაფის ოქროს თასი, უეფას ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი და სხვა ამგვარი. იმისათვის, რომ ჩამოთვლილი შეჯიბრებები გრაფიკს მოერგოს საჭიროა ეროვნულმა ფედერაციებმა თავიანთ ლიგაში გამონახონ დღეები, როდესაც შიდა პირველობათა მატჩები არ გაიმართება.

ფიფას სამწუხაროდ ამ მხრივ საქმე წინ ფრიად ნელა მიდის და ამიტომ პროცესის მეორე ეტაპს 2004 წლიდან გეგმავს. კერძოდ, სურთ, რომ 2004 წლიდან ყველა ქვეყნის ეროვნული პირველობა ერთსა და იმავე დროს დაიწყოს ერთსა და იმავე კალენდარულ დღეებში მიმდინარეობდეს და დამთავრდეს. ამის გარდა გამოიყოს ერთი თვე სანაკრებო ტურნირებისთვის და კიდევ ერთი თვე საყოველთაო დასვენებისთვის.

მაიამიში გამართულ სიმპოზიუმზე სიტყვით გამოვიდა ფიფას ალმასკომის წევრი, მისი სამედიცინო კომისიის თავმჯდომარე, ბელგიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი მიშელ დოჟი, რომელმაც განაცხადა:

„დღეს ერთი შეჯიბრება ისე იწყება, რომ მეორე დამთავრებული ჯერ არ არის და ფეხბურთელებს დასვენების დრო და საშუალება არ აქვთ. არადა მათთვის ძალთა აღდგენა და ტრავმების მოშუშება აუცილებელია. საფეხბურთო მედიკოსები მყესების დაჭიმვისა და დაწყვეტის ეპიდემიის წინაშე ვდგავართ, ადრე კი ასეთი რამ იშვიათობა გახლდათ. ამ ეპიდემიას ერთადერთი მიზეზი აქვს — გადაღლა. მოთამაშეებს, დასვენებისა და ძალთა აღდგენისათვის დრო არ აქვთ, რის გამოც მოსაშუშებელ ტრავმებს წლობით დაატარებენ".

როგორც ირკვევა ფიფას ყველაზე მოხერხებულად საყოველთაო სეზონის თებერვალში დაწყება და ნოემბერში დამთავრება მიაჩნია. ასეთი კალენდრის პირობებში ივნისი დასვენების თვე იქნება. დეკემბერი მკურნალობა-აღდგენისა, ხოლო იანვარი საწვრთნელი შეკრებების დაწყებისა. შესაბამისად, ყველა ქვეყნის ჩემპიონატი თებერვალში დაიწყება (ზოგან ცოტა ადრე, ზოგანაც ცოტა გვიან), ხოლო დამთავრების თარიღად ნოემბრის ბოლო კვირა შეიძლება დაითქვას.

„ასეთ კალენდარს მაინც ეწინააღმდეგებიან. მაგალითად მუსლიმანურ ქვეყნებს რამადანის დროს თამაშს ვერ დაავალებ. გარდა ამისა, ზოგი ქვეყნის შეჯიბრება ასწლოვანია და დიდი ტრადიციის დარღვევა არავის სურს. ასეთი გახლავთ ვთქვათ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, რომელიც მზიანი მაისის ფინალს ცივ ნოემბერზე არაფრით გაცვლის".

რაც შეეხება საკუთრივ ფიფას შეჯიბრებებს: მსოფლიოს პირველობა მომავალში (თუ, ცხადია, უნიფიცირებული კალენდარი შეიქმნა) ოთხ წელიწადში ერთხელ ზუსტად ერთსა და იმავე დროს გაიმართება. გარდა ამისა, მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანიზაცია ზოგ შეჯიბრებას შეკვეცავს, მაგალითად კონფედერაციათა თასს და შეიძლება კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატსაც კი. როგორც ჩანს მათ მომავალი არ აქვთ.

**რობერტ უაგმენი**

# ევროპის გამოცდა

კონტინენტის პირველობების ისტორია **1960** *სოლომონ გულისაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძიმე მშობიარობა



**ანრი დელონეს თასი**

*სიმაღლე — 40 სმ*

*მასა — 2,567 კგ*

*სუფთა ვერცხლისგან დაამზადა ცნობილმა პარიზელმა იუველირმა მიშელ შობიონმა. თასი წარმოადგენს ძველბერძნული (IV საუკუნე ქრისტეს შობამდე) ამფორის ასლს. მასზე გამოსახულია ბურთით მოთამაშე კაცის ბარელიეფი.*



ანრი დელონე

## ორი ფრანგის ამბავი

ევროპელებმა 1958 წლამდე კონტინენტის სანაკრებო ჩემპიონატის ჩატარება ვერ მოახერხეს. საინტერესოა არა? სამხრეთ ამერიკაში მსგავსი შეჯიბრი 1916, აზიაში — 1956, ხოლო აფრიკაში 1957 წლიდან ტარდებოდა... ბევრ ევროპაში კი მანამდე ლოკალური პირველობებით კმაყოფილდებოდნენ. ასე მაგალითად, 1883 წელს ჩრდილოეთ ირლანდიამ, შოტლანდიამ და უელსმა ბრიტანეთის პირველი ჩემპიონატი გამართეს, 1924-დან დანია, ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი სკანდინავიის პირველობას თამაშობდნენ, 1927 წელს ცენტრალური ევროპის ჩემპიონატიც გაჩაღდა, რომელშიც ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, იტალიისა და შვეიცარიის ეროვნული გუნდები მონაწილეობდნენ. კიდევ არსებობდა (და საბჭოეთის დაშლის შემდეგ კვლავ აღსდგა) ბალტიის თასი. მასში ლიტვა, ლატვია და ესტონეთი ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ახლა ისიც ვთქვათ, რატომ ვერ მოხერხდა ევროპის სანაკრებო ჩემპიონატის 1958 წლამდე გამართვა? აქ ორ მთავარ ვერსიას ასახელებენ. პირველი ის, რომ არ არსებობდა ევროპული ფეხბურთის ერთიანი მმართველი ინსტიტუტი, ანუ კონტინენტური კონფედერაცია. უეფა მხოლოდ 1954 წელს შეიქმნა და მისი პირველი გენერალური მდივანი ფრანგი ანრი დელონე გახლდათ, რომელმაც ჯერ კიდევ 1927 წელს გამოთქვა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების იდეა. მაშინ დელონეს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გენმდივნის თანამდებობა ეჭირა და ფიფას ერთ-ერთ სხდომაზე თავისი გულისნადებიც გაამხილა. ეგ არის, მხარდამჭერი არავინ გამოუჩნდა. ფიფას ჩინოსნებს მაშინ სხვა პრობლემები მეტად აწუხებდათ. კერძოდ, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის საორგანიზაციო საქმეები და ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთის პოპულარიზაცია.

მეორე ვერსია უფრო პიროვნულია. მაშინ ფიფას პრეზიდენტი ასევე ფრანგი, ლეგენდარული ჟიულ რიმე გახლდათ — სხვათა შორის, დელონეს მეგობარი — და ვინაიდან ფიფას მთავარი საყრდენი ევროპა იყო, კიდევ ერთი ახალი ტურნირი საერთაშორისო კალენდარში არეულობას შეიტანდა, ფიფა კი მსოფლიოს პირველი ჩემპიონატისთვის ემზადებოდა, თანაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მყარი ავტორიტეტი და დიდი ფული. და კიდევ, თუ ფიფას არ ეცალა, მაშინ რაღაც ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბებულიყო, რომელიც ევროპულ ფეხბურთს დაალაგებდა. ეს კი, ბუნებრივია, ფიფას ერთობ შეასუსტებდა. ამიტომაც ეწინააღმდეგებოდა რიმე ახალ იდეას. ასეთი ხასიათის გამო იყო, რომ პრეზიდენტის სავარძელი ოცდაცამეტ წელიწადს შეინარჩუნა. დელონემ, ბუნებრივია, მასთან ვერაფერი გააწყო.

ჩვენ კი ერთ მიზეზსაც დავამატებდით. როგორც ჩანს, ოციან წლებში ევროპის სანაკრებო ჩემპიონატის ჩატარებისთვის ობიექტური საფუძველი არ არსებობდა. რევოლუცია ევროპულ ფეხბურთში მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის გასრულებიდან რამდენიმე წელიწადში დაიწყო. 50-იანი წლების მეორე ნახევარს კი თამამად შეიძლება „ევროფეხბურთის რენესანსის პერიოდი“ ვუწოდოთ. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა უეფა, დაარსდა საკლუბო ტურნირები: ჩემპიონთა, ბაზრობათა (დღევანდელი უეფას) და თასების მფლობელთა თასები, ბოლოს კი ერთიანი ევროპის სანაკრებო შეჯიბრსაც ჩაეყარა საფუძველი. ის დრო ძალიან ჰგავს დღევანდელს. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ დღეს მაშინ შემოღებულ წესებს ცვლიან და ახლებურად აღგენენ. ვითომ ჭკვიანურად იქცევიან? ვინ იცის...

## ბარასი, შვარცი, შობიონი და ძველბერძნული ამფორა

50-იანი წლები მართლაც განსაკუთრებული პერიოდია კონტინენტურ ყოფაში. ევროპამ ომის ჭრილობები ნელნელა მოიშუშა, წელში გაიმართა და აღმასვლაც დაიწყო. შეიცვალა ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაც. ცხადია, ანრი დელონეს იდეა კვლავ ამოტივტივდა. დელონეს ერთი მოუსვენარი თანამოაზრე ჰყავდა, იტალიელი ოტორინო ბარასი, კაცი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს „ნიკეს თასი“ გახვრეტილ ჩექმაში, საწოლის ქვეშ დამალა და გერმანელებს არ გაატანა.

1951 წლის გაზაფხულზე ბარასიმ ფიფას ევროპის თასის გამართვის საკუთარი ვარიანტი წარუდგინა, რომელიც შეჯიბრების სათასო, ანუ ოლიმპიური სისტემით ჩატარებას, ხოლო ნახევარფინალებისა და ფინალის ერთ ქვეყანაში გამართვას ითვალისწინებდა. ცხადია, მსოფლიოს ფეხბურთის მმართველებმა კვლავ წაუყრუეს. ერთი წლის შემდეგ ბარასი, დელონე და ბელგიის საფეხბურთო კავშირის გენმდივანი ჟოზე კრაი ციურიხში შეიკრიბნენ და ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ასოციაციების გაერთიანების აუცილებლობაზე ისაუბრეს. 1954 წლის 15 ივნისს კი, მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონატის წინ, ბაზელში ისტორიული კონფერენცია ჩატარდა. მასში ევროპის ოცდახუთი ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. თავმჯდომარე ოტორინო ბარასი გახლდათ. კონფერენციაზე ოფიციალურად გამოაცხადეს ევროპის საერთაშორისო საფეხბურთო კავშირის (უეფა) დაფუძნების შესახებ. ერთ კვირაში უეფას პირველი პრეზიდენტი დანიელი ებე შვარცი გახდა.

იმავე წლის ოქტომბერში კოპენჰაგენში შეკრებილმა სათათბირომ დელონეს, კრაის და შოტლანდიელ ჯორჯ გრემს ევროპის სანაკრებო შეჯიბრის პროექტის წარდგენა დაავალა.

1955 წლის მარტში ვენის კონგრესზე ტურნირის ჩატარების სამი ვარიანტი წარადგინეს: 1) თამაშები იმართება ჯგუფებში, საკუთრივ ტურნირი კი მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს წარმოადგენს; 2) შეჯიბრი მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის, ოლიმპიადის წელიწადს სათასო სისტემით ტარდება (ბარასის პროექტი); 3) პირველობა სალიგო პრინციპით ეწყობა და მთელი სეზონის განმავლობაში მიმდინარეობს.

კონგრესის მონაწილეებმა ბევრი იკამათეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეთანხმდნენ და განხილვა ერთი წლით გადაიდო. ამასობაში გარდაიცვალა ანრი დელონეც და კომისიაში მისი შვილი, პიერი შეიყვანეს.

მხოლოდ 1957 წლის მარტისთვის მოხერხდა ერთგვარი შეთანხმება. მოკამათეებმა ბრასის ვარიანტი ამჯობინეს. ებე შვარცს ისე მოეწონა ახალი პროექტი, რომ მორიგ კონგრესს აღარ დაელოდა და დებულება უეფას პირველ ოფიციალურ ბიულეტენში გამოაქვეყნა, მაგრამ... 28 ივნისს კოპენჰაგენში მიწვეულ კონგრესზე კვლავ ვნებათაღელვა მძვინვარებდა: ტურნირის წინააღმდეგ გამოვიდნენ ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, გფრ-ისა და ოთხივე ბრიტანული დელეგაციის წარმომადგენლები. მათი აზრით, ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატებში ერთობ გადატვირთულები იყვნენ და ახალი ტურნირი მათ კიდევ უფრო გადაღლიდა. არ გეცნობათ დღევანდელი სიტუაცია?..

ბრიტანეთისა და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა უეფას შემდგომ კონგრესზეც გაილაშქრეს, მაგრამ ხმათა უმრავლესობით ევროპის თასის გათამაშება ოფიციალურ შეჯიბრებად გამოცხადდა.

1958 წლის 6 ივნისს სტოკჰოლმის სასტუმრო „ფორესტის“ „მოგზაურთა კლუბში“ ევროპის ერთა თასის პირველი კენჭისყრა გაიმართა. იქვე საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა პიერ პოშონემ უეფას საჩუქრად ძველბერძნული ამფორის ვერცხლის ასლი გადასცა, რომელიც ცნობილ პარიზელ იუველირს, მიშელ შობიონს დაემზადებინა. უეფას პრეზიდენტ ებე სანდის წინადადებით, ევროპის თასს ანრი დელონეს სახელობისა უწოდეს.



1958 წლის 6 ივნისს სტოკჰოლმის სასტუმრო „ფორესტის“ „მოგზაურთა კლუბში“ ევროპის ერთა თასის პირველი კენჭისყრა გაიმართა. 1999 წლის 12 დეკემბერს კი ბრიუსელში ევრო 2000-ის ფინალისტები დააწყვილეს. იმ საღამოს ბელგიის დედაქალაქში ევროპის ყველა ჩემპიონი გუნდის წარმომადგენელი ვეტერანი ფეხბურთელები მიიწვიეს. მარცხნიდან დგანან: თომას ჰელმერი (გერმანია, 1996), ანტონინ პანენკა (ჩეხოსლოვაკია, 1976), ჯიაჩინტო ფაკეტი (იტალია, 1968), ფრანც ბეკენბაუერი (გფრ, 1972), ბერნდ შუსტერი (გფრ, 1980), ფრანკ რაიკარდი (ჰოლანდია, 1988); სხედან: ვიქტორ პონედელნიკი (სსრკ, 1960) იონ იენსენი (დანია, 1992), მიშელ პლატინი (საფრანგეთი, 1984), ლუის სუარესი (ესპანეთი, 1964)

СПОРТ ЭКСПРЕСС ФУТБОЛ



1958 წლის 28 სექტემბერი. მერვედფინალი. სსრკ — უნგრეთი 3:1. საბჭოელთა მარჯვენაფლანგელი სლავა მეტრეველი მეტოქეებს კვლავაც გაექცა

# პირველი: 1958 წლის 28 სექტემბერი

## რატომ არ გაუშვა ფრანკომ თავისი გუნდი მოსკოვში?

ევროპის თასის პირველ გათამაშებას ერთობ საინტერესო ისტორია აქვს, თუმცა ინტერესი უმთავრესად მინდვრებსმიღმა ამბებმა გამოიწვია: სსრკ-ესპანეთის ჩაშლილი მატჩის ამბავი ხომ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაშია შესული, მაგრამ ამაზე ქვემოთ. თავიდან კი ის ვთქვათ, რომ სადებიუტო ტურნირში უეფას წევრი ოცდაათი ქვეყნიდან მხოლოდ ჩვიდმეტმა მიიღო მონაწილეობა. უარი თქვეს ისეთმა ავტორიტეტებმა, როგორიც ბრიტანეთი, გერმანია და იტალია იყვნენ. მათ და კიდევ ათ ქვეყანას ახალი შეჯიბრის პერსპექტიულობისა არ სჯეროდათ და გვერდიდან ცქერა არჩიეს. თუმცა მოგვიანებით მიხვდნენ, რომ შეცდომა დაუშვეს.

დანარჩენებმა კი ტურნირი მერვედფინალიდან დაიწყეს. დებულების თანახმად, ნახევარფინალებამდე გუნდები მიმოსვლით ითამაშებდნენ და ასე გაარკვევდნენ გამარჯვებულს. ნახევარფინალები, მესამე ადგილისთვის მატჩი და ფინალი კი ერთ ქვეყანაში ჩატარდებოდა. საჭირო გახდა ერთი საკვალიფიკაციო რაუნდის გამართვაც, რომელშიც ჩეხოსლოვაკიელებმა ირლანდიელები დაამარცხეს, მაგრამ ეს „ორმატჩა“ 1959 წელს გაიმართა. 1958-ის 28 სექტემბერს კი მოსკოვის გადაჭედილ „ლუჟნიკიზე“ ევროპის ჩემპიონატების (თასის გათამაშების) პირველი შეხვედრა ჩატარდა. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა უნგრელებს უმასპინძლა და 3:1 მოუგო. ამ ისტორიულ საღამოს მინდორზე ერთი ქართველი — სლავა მეტრეველი იყო.

უნგრელებს თაობათა ცვლის ხანა ედგათ. 1956 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ „უნგრეთის დიდი გუნდის“ ბევრმა წარმომადგენელმა ნაკრები მიატოვა. მოსკოვს „შემორჩენილებიც“ (გროშიჩი, ბოჟიკი, ჰიდეგკუტი) არ ეწვივნენ და... მეოთხე წუთზე საბჭოელმა ანატოლ ილინმა ანგარიში გახსნა. ეს გახლდათ პირველი გოლი ევროპის თასის ისტორიაში — ვალენტინ ივანოვი მარჯვენა ფრთაზე გაიჭრა და მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთი უნგრელმა მცველმა შიპოშმა მიიღო, მაგრამ მის გვერდით უცებ ილინი გაჩნდა, მოჰპარა იგი და შეაგდო. ლამაზი გამოდგა საბჭოელთა მეორე და მესამე გოლებიც. ჯერ სლავა მეტრეველმა ძლიერი დარტყმით მარჯვენა ზედა კუთხეში გაიტანა, მერე ივანოვი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა. უნგრელებმა მხოლოდ ერთის გაქვითვა შეძლეს. საპასუხო მატჩი ერთი წლის შემდეგ უნდა გამართულიყო... მანამდე საბჭოელებმა ინგლისელებთან „უემბლიზე“ 0:5 წააგეს. ამას მწვრთნელის შეცვლა მოჰყვა, გავრილ კაჩალინი მიხაილ იაკუშინმა შეცვალა. საპასუხო შეხვედრაში უნგრელებმა ყველა ძლიერი ფეხბურთელი ათამაშეს, მაგრამ საბჭოელებმა იქაც იძალეს — 1:0 და წინასწარ დადგენილი ბადის მიხედვით მეოთხედფინალში ესპანელებს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ...

ესპანელებს მაშინ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ, მარტო დი სტეფანოს, სუარესისა და ხენტოს გვარები რად ღირდა, მწვრთნელად კი ლეგენდარული ელინიო ერერა ჰყავდათ. მერვედფინალში ესპანელებმა პოლონელებს ჯამში შვიდი ბურთი გაუტანეს და რუსებსაც ჩინებული განწყობით ხვდებოდნენ. პირველი მატჩი 1960 წლის 29 მაისს უნდა გამართულიყო მოსკოვში. ესპანეთის დელეგაცია საბჭოეთის დედაქალაქში ჩაფრენას 26-ში აპირებდა. ერერა მანამდე ეწვია მოსკოვს, ნაკრებისთვის პირადად შეარჩია სასტუმრო „მეტროპოლი“ და 19-ში სსრკ-პოლონეთის ამხანაგურ მატჩს დაესწრო. რუსებმა 7:1 მოიგეს და მაესტრო ერერაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. მეორე დღეს მწვრთნელი მადრიდში დაბრუნდა. 22 მაისს კი საინფორმაციო საშუალებებმა სენსაციური განცხადება გადმოსცეს — ესპანეთის მთავრობა თავის ფეხბურთელებს მოსკოვში წასვლას უკრძალავსო... აკრძალვა ესპანეთის მთავრობის მაშინდელი მმართველის, ფრანსისკო ფრანკოსგან მოდიოდა. გენერალ-სიმუსი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, თავის ფეხბურთელებს „კომუნისტურ ქვეყანაში“ ეთამაშათ. თუ რატომ, ამის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთი ისაა, რომ ერერამ დიქტატორს ესპანელთა უეჭველი გამარჯვების გარანტია ვერ აღუთქვა, ფრანკოს კი კომუნისტებთან მხოლოდ მოგება სურდა. მეორე, ნაკლებგავრცელებული ვერსია ასეთია: 1960 წლის 1 მაისს ურალის თავზე ამერიკული თვითმფრინავი — ჯაშუში ჩამოაგდეს, რასაც პოლიტიკურ თუ სამხედრო წრეებში დიდი სკანდალი მოჰყვა. ნატომ საბჭოთა კავშირთან ყოველგვარი კულტურული და სპორტული ურთიერთობაც კი აკრძალა. როგორც ამბობენ, ფრანკომ ამერიკელების დაწოლით თქვა საფეხბურთო მატჩზე უარი. ასეა თუ ისე, შეხვედრა ჩაიშალა. არადა, უეფას სამდივნო განცხადებიდან სამი დღის განმავლობაში ვერაფერს ამბობდა და მხოლოდ 25 მაისს აუწყა საბჭოელებს, რომ ესპანელებთან მეოთხედფინალი აღარ გაიმართებოდა. მეორე დღეს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალფონსო დე ლა ფუენტემ ერთხელაც გაიბრძოლა. საგარეო საქმეთა მინისტრის დახმარებით ფრანკოსთან აუდიენციის უფლება მიიღო. ამ დროს მადრიდის აეროპორტში ესპანეთის ნაკრების დელეგაცია მივიდა და... ფრანკომ დე ლა ფუენტეს კატეგორიული უარი განუცხადა. ფეხბურთელები სახლებში მიმოიფანტნენ. 28 მაისს უეფას კონგრესმა ესპანეთის ნაკრებს დისკვალიფიკაცია და 31 500 შვეიცარიული ფრანკის ჯარიმის გადახდა დაუდგინა. სსრკ-ის ნაკრებს კი ნახევარფინალისკენ გაუხსნა გზა.

ამ ამბავმა საბჭოთა კავშირში, ცხადია, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. იყო აღშფოთებულ მუშათა უამრავი კოლექტიური წერილი... კაპიტალისტების ლანძღვა, თავის სიტყვა ქვეყნის პირველმა პირმა ნიკიტა ხრუშჩოვმაც თქვა: *"И в большом и в малом Франко пресмыкается перед своими хозяевами. Вес мир смеётся сейчас над его последним спортивным трюком. Это он с позиции правого защитника американского престижа забил гол в свои ворота, запретив испанским футболистам встречу с Советской командой."*

საბჭოთა ფეხბურთელებმა კი თანაგრძნობის წერილი გაუგზავნეს ესპანელ კოლეგებს. აი, ასე იყო...

სხვა მეოთხედფინალური მატჩებიდან საინტერესოა ფრანგებისა და ავსტრიელების შერკინება. მართალია, ამ დროს ავსტრიელებს სუსტი გუნდი ჰყავდათ, მაგრამ ფრანგები რის ფრანგები იქნებოდნენ, ისტორიაში რაიმე თავისი არ ჩაეწერათ. პარიზულ მატჩში შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირმა ჟიუსტ ფონტენმა თასის ისტორიაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა. საინტერესოა, რომ ფონტენს ფინალურ ტურნირში აღარ უთამაშია, მაგრამ 5 გოლით შეჯიბრის ბომბარდირთა შორის მაინც მოხვდა.

სხვა მხრივ, სენსაციები არ ყოფილა და ნახევარფინალში მართლაც უძლიერესები გავიდნენ.

### ФУТБОЛИСТАМ СБОРНОЙ КОМАНДЫ ИСПАНИИ

*Уважаемые спортсмены — участники сборной футбольной команды Испании!*

*С сожалением узнали, что испанские власти запретили вам встретиться со сборной командой СССР в спортивном соревновании на футбольных полях Москвы и Мадрида в матчах на Кубок Европы.*

*Не только мы и наша спортивная общественность, но и самые широкие круги любителей футбола во всех странах не могут без возмущения отнестись к такому грубому вмешательству фашистского диктатора Франко, сорвавшего одно из крупнейших соревнований европейского чемпионата.*

*Акт произвола франкистского правительства свидетельствует о том, что оно, повинуясь воле своих американских хозяев, пытается внести элементы «холодной войны» в спорт.*

*Мы с большой радостью ожидали вашего приезда и готовили вам достойную встречу. Не ваша вина в том, что она не состоялась. Мы знаем, как вы искренне хотели совершить поездку в Москву и принять нас у себя, на родине.*

*Мы не сомневаемся, что вместе с нами вы сожалеете о несостоявшихся встречах, суливших всем любителям футбола интересные спортивные соревнования.*

*Футболисты Советского Союза верят, что идеи дружбы и мира вам так же дороги, как и нам, и что никакие барьеры не в силах помешать сотрудничеству и дружбе спортсменов.*

**Участники сборной команды СССР по футболу: заслуженные мастера спорта СССР И. Нетто — капитан команды, Ю. Войнов, В. Иванов, Б. Кузнецов, А. Масленкин, В. Царев, Л. Яшин; мастера спорта СССР — Б. Батанов, В. Бубукин, З. Калоев, В. Кесарев, С. Котрикадзе, А. Крутиков, В. Маслаченко, М. Месхи, С. Метревели, Ю. Мосалев, В. Понедельник.**

**Тренеры команды — заслуженные тренеры СССР — Г. Качалин, Н. Гуляев.**

ФУТБОЛ

ეს ორი ფრაგმენტი გაზეთ „ფუტბოლიდანაა.“ ერთი — საბჭოთა ფეხბურთელების ესპანელებისადმი მიმართვის ტექსტია, მეორე საბჭოთა პრესის ტიპიური პასუხი დიქტატორ ფრანკოს

### ПОДМАЗАННЫЙ ФУТБОЛИСТ

«...И в большом, и в малом Франко пресмыкается перед своими хозяевами. Весь мир смеется сейчас над его последним спортивным трюком. Это он с позиции правого защитника американского престижа забил гол в свои ворота, запретив испанским футболистам встречу с советской командой».

(Из выступления Н. С. Хрущева на Всесоюзном совещании передовиков соревнования бригад и ударников коммунистического труда 28 мая 1960 года).




Рис. Е. Ведерникова.

Мазнули Франко по усам,
От смазки долларом разило,
И Франко отличился сам
Как жалкий футболист-мазила.

В. ГРАНОВ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასაოცარი ქართული ფრთები

## საბჭოთა ფეხბურთის გამარჯვება, დამბალი „პარკ დე პრენსი“ და წინდაუხედავი ჩინოვნიკები



С. МЕТРЕВЕЛИ
Он действовал исправно справа,
И по заслугам Славе слава!



Михаилу МЕСХИ
Играя на краю, имеет основания
Всегда быть в центре общего внимания.



Льву ЯШИНУ
Футбольных не нарушив правил,
Ворота запер на «замок»,
«Ключ» от него себе оставил
И лучше выдумать не мог.

საფრანგეთში ერთობ სოლიდურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მასპინძელი ფრანგები მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის (1958) მესამედგილოსნები, საბჭოეთი, როგორც ყოველთვის, სახიფათო და კერკეტი გუნდი, ხოლო ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია ფრიად პერსპექტიულები. ორი წლის შემდეგ, ჩილეს მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩეხოსლოვაკიელები ვიცე-ჩემპიონები გახდნენ, ფინალში ბრაზილიასთან წააგეს (1:3), ხოლო იუგოსლავიელები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

მაშინდელი დებულებით, ევროპის თასის ფინალური ეტაპი ოთხმატჩიანი იყო: ნახევარფინალები, მესამე ადგილისთვის თამაში და ფინალი.

ნახევარფინალში საბჭოელების მეტოქე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გახლდათ. თამაში 6 ივლისს მარსელის „ველოდრომზე“ გაიმართა. ჩეხები უძლიერესი შემადგენლობით გავიდნენ მინდორზე. მათ ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავდათ: შროიფი, შაფრანეკი, პოპლუჰარი, მასოპუსტი და ბუბნიკი მართლაც ძლიერ ძალას წარმოადგენდნენ. საბჭოთა გუნდში კი ერთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა, რომელმაც გივი ჩოხელს ნაკრების ძირითადში დაუმკვიდრა ადგილი. ჩეხებთან მატჩის წინა დღეს ბრმანაწლავი ასტკივდა მარჯვენა მცველს, მოსკოვის დინამოელ ვლადიმერ კესაროვს. გუნდში დაბრუნებულმა მწვრთნელმა გავრილ კაჩალინმა მის ნაცვლად ჩოხელის გამოცდა გადაწყვიტა. მწვრთნელს ერთი რამ აღელვებდა, თბილისელი მცველი ვარჯიშებისას კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ევროპის თასის ნახევარფინალში დებიუტანტის ნდობა რომ სახიფათო იყო, ესეც კარგად იცოდა. ქართველმა გაამართლა: „შესვენების შემდეგ ჩოხელი დაწნგარდა და გამოცდილ მებრძოლს დაემსგავსა. მას დოლინსკის გაუვნებლება დაავალეს და ქართველმაც ივარგა. ჩოხელმა „ჩაყლაპა“ დოლინსკი, აჯობა სისწრაფეშიც და გამძლეობაშიც“ — ეს ჩეხი ჟურნალისტების შეფასება გახლდათ. ანგარიში ვალენტინ ივანოვმა გახსნა. პირველი ტაიმის დრო ნახევარ საათს ოდნავ გადაცილებულიყო, როცა ივანოვმა მეტოქის საჯარიმოში პონედელნიკთან „კედელი“ გაითამაშა და 1:0.

58-ე წუთისთვის საბჭოელები ერთბურთიანი უპირატესობით იგებდნენ, ინიციატივას ჩეხები ფლობდნენ და ყოველ წამს შეეძლოთ გათანაბრება. მერე კი ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ დროს სწორედ გივი ჩოხელმა დაიწყო კომბინაცია, ბურთი მოედნის ცენტრთან სლავა მეტრეველს გადააწოდა, მანაც მყის ვალენტინ ივანოვი მოძებნა და 2:0. ამ გოლმა ჩეხები საბოლოოდ გატეხა და მალევე ვიქტორ პონედელნიკმა მეკარე შროიფს მესამედ გამოატანინა ბურთი ბადედან. 3:0 და საბჭოელები ფინალში გავიდნენ. ფრანგულმა „ეკიპმა“ და „ფრანს ფუტბოლმა“ ვალენტინ ივანოვი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ შერაცხეს: მან არა მხოლოდ საერთაშორისო კლასი, არამედ ლიდერის ჭეშმარიტი თვისებებიც გამოავლინაო — წერდნენ ფრანგები. ჩეხოსლოვაკიის მთავარმა გაზეთმა „რუდე პრავომ“ კი ქართველ თავდამსხმელებს შეასხა ხოტბა: „დავრწმუნდით, რომ ჩვენი ნაკრების ფრთის მოთამაშეები მოისუსტებენ, მაშინ, როცა საბჭოელებს მესხი და მეტრეველი ჰყავთ. ისინი მსოფლიოს უსწრაფეს და საუკეთესო ფეხბურთელებს მიეკუთვნებიან. ჩვენებთან სწორედ მათ დაიწყეს თითქმის ყველა შეტევა. ამ ორეულისთვის მცველების მოტყუება სულაც არ წარმოადგენს პრობლემას. კარშიც ხშირად და სახიფათოდ ურტყამდნენ“.

მეორე ნახევარფინალი კი ერთობ მოულოდნელად დამთავრდა. შეჯიბრების მასპინძლები და ფავორიტები — ფრანგები, „პარკ დე პრენსზე“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში უგებდნენ იუგოსლავიელებს, მაგრამ 4:5 წააგეს. თანაც მატჩის ბედი იუგოსლავიელი ერკოვიჩის მიერ ორი წუთის განმავლობაში გატანილმა გოლებმა გადაწყვიტა.

ფრანგებს ერთი გასამართლებელი ჰქონდათ. იმ საღამოს ძირითადის ხუთი დაშავებული ფეხბურთელი ვერ ათამაშეს. თანაც როგორები, „რეიმსის“ სამეული: ფონტენი, კოპა, პიანტონი. ასევე მცველები — კალბელი და ჟონკე. და მაინც, ფრანგებს ისეთი რამ დაემართათ, რაც შემდგომაც არაერთხელ მოსვლიათ — ფაქტობრივად მოგებული თამაში მოწინააღმდეგეს გადაულოცეს. თუმცა ერთიც იყო, ფრანგმა ჟურნალისტებმა მაშინ გამოქექეს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ამ მატჩამდე ეს გუნდები რვაჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ფრანგებს მხოლოდ ერთხელ გაემარჯვათ. ბოლო ორ მსოფლიოს ჩემპიონატზეც იუგოსლავიელებმა იმარჯვეს 1954 წელს შვეიცარიაში 1:0, 1958 წელს შვედეთში — 3:2. საინტერესოა, რომ აქაც თამაშის დამთავრებას ცოტაღა უკლდა და ფრანგები 2:1-ს იგებდნენ... გამოდის, ევროპის თასის პირველი გათამაშების მასპინძელთა მარცხი არცთუ ულოგიკო ყოფილა. განაწყენებულმა და დათრგუნულმა ფრანგებმა მესამე ადგილისთვის მატჩიც წააგეს ჩეხოსლოვაკიელებთან (0:2).

10 ივლისს, კოკისპირული წვიმისგან დამბალ „პარკ დე პრენსზე“, ფინალში, საბჭოელები იუგოსლავიელებს დაუპირისპირდნენ. მოედნის ყოველ მონაკვეთზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა. პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე იუგოსლავიელები დაწინაურდნენ: გალიჩის თავური ზუსტი გამოდგა. მეორე ნახევრის დასაწყისში სლავა მეტრეველმა გაათანაბრა და ფაქტობრივად მატჩის ბედი შემოაბრუნა: „49-ე წუთი მიმდინარეობდა. ბუბუკინმა ოცი მეტრიდან ლონივრად დაჰკრა ბურთს, დარტყმა იმდენად მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ მეკარე ვიდინიჩმა ძლივს მოასწრო რეაგირება და ბურთი წინ დაიგდო. უცებ მცველების წინ სლავა მეტრეველი გაჩნდა და ზუსტი დარტყმით გაათანაბრა“ — ეს სიტყვები იმ თამაშის მონაწილეს, ლეგენდარულ ლევ იაშინს ეკუთვნის. მერე „საბჭოურმა ფრთებმა“ ისევ გაილაღეს. იუგოსლავიელი მცველები დაიბნენ და ხან უმისამართოდ იგერიებდნენ ბურთს, ხანაც ზღვარგადასულად უხეშობდნენ. 90-მა წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. „დამატებითი დროის დამთავრებას შვიდი წუთი უკლდა. მესხმა, რომელსაც მეურვე მატეში უკვე გვარიანად გაეტანჯა, ვოინოვისგან მიიღო გადაცემა, მარცხენა ფრთაზე დიდი სისწრაფით გაიქცა, თანაც ოსტატურად ირიდებდა მეტოქეთა სარმებს. ახლაც თვალწინ მიდგას: წვიმისგან გალუმპულმა მიშამ საჯარიმოს კიდესთან მიირბინა და პენალტის ნიშნულთან ჩაჰკიდა. ვიდინიჩმა კომბინაციის ჩაშლა ვერ მოახერხა. ვიქტორ პონედელნიკმა კი მცველებს დაასწრო და თავით გამარჯვებისა გაიტანა“ — ესეც იაშინის ნაამბობია.

მერე ბატონ სლავას ბევრჯერ მოუყოლია ამ თამაშის შესახებ. ერთხელ მითხრა — იცი, განსაკუთრებით რა მაგონდება? ნამატჩევს ისეთი დაღლილები ვიყავით, სველ მაისურებს ვერ ვიხდიდით. მწვრთნელები რომ არ დაგვხმარებოდნენ, ასევე დავრჩებოდით. მთელი ძალა მინდორზე დავტოვეთო.

„ეკიპი“: „მაყურებელი პირველი წუთიდანვე აზარტული და ცხარე ბრძოლის მოწმე გახდა. ყველა დარწმუნდა, რომ ევროპის თასის ფინალი სწორედ ასეთი უნდა იყოს. რუსებმა და იუგოსლავიელებმა თავისი სპორტული ვალი მოიხადეს. მათ ნამდვილი ფეხბურთი ითამაშეს“. აქ არ გაგიკვირდეთ სიტყვა „რუსებმა“. დასავლური გამოცემები საბჭოელებს ხშირად ასე მოიხსენიებდნენ.

იუგოსლავიელები მინდორს აცრემლებულები ტოვებდნენ. თასის გარდა მათ დიდი ფულიც დაკარგეს. მართალია, ოფიციალურად არ განუცხადებიათ, მაგრამ ისევ ფრანგულ პრესაზე დაყრდნობით, ფინალის მოგების შემთხვევაში, ქვეყნის მმართველი მარშალი იოსიპ ბროზ ტიტო მაშინდელი დროისთვის ერთობ სოლიდურ პრემიებს დაჰპირდათ.

საბჭოელებს არავინ არაფერს შეჰპირებია. როცა მოსკოვში მოგებულები დაბრუნდნენ, დაიწყო ლაპარაკი, თითქოს თითოეული ფეხბურთელისთვის 200 ამერიკული დოლარი უნდა მიეცათ, მაგრამ სპორტკომიტეტის ჩინოსნებს ვერც კი წარმოედგინათ, თუ ფეხბურთელები თასს მოიგებდნენ, ამიტომ საკუთარ ბიუჯეტში არაფერი გაითვალისწინეს და ცხადია, ვერც ვერაფერს მისცემდნენ. თუმცა, მაშინ... მაშინ სხვა დრო იყო, სიგელით და სიტყვიერი მადლობით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ...



1960 წლის 10 ივლისი. ფინალი. სსრკ — იუგოსლავია 2:1. იუგოსლაველმა დურკოვიჩმა (ღია ფერის მაისურაში) საბჭოელ პონედელნიკს დაასწრო და თავის მეკარე ვიდინიჩს (მარცხნივ) ხიფათი ააცილა

**მონაწილე: 17 გუნდი, 323 ფეხბურთელი**
სულ გაიმართა 28 მატჩი, გატანილია 108 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 3,86 გოლი)
საუკეთესო ბომბარდირები: ბუბერნიკი (ჩეხოსლოვაკია), ფონტენი და ვენსანი (ორივე საფრანგეთი) — 5-5 ბურთი.
საშუალო დასწრება: 39 205 მაყურებელი

## საკვალიფიკაციო ეტაპი

### ირლანდია 2:0 ჩეხოსლოვაკია

1:0 ტუხი (22), 2:0 კანტუელი (42პ)
მსაჯი: ვან ნუფელი (ბელგია)
05.04.59. დუბლინი. 37 500 მაყურებელი

### ჩეხოსლოვაკია 4:0 ირლანდია

1:0 სტახო (53), 2:0 ბუბერნიკი (57), 3:0 პავლოვიჩი (67), 4:0 დოლინსკი (75)
მსაჯი: ბარბერანი (საფრანგეთი)
10.05.59. ბრატისლავა. 41 691 მაყურებელი

## მერვედფინალი

### სსრკ 3:1 უნგრეთი

1:0 ილინი (4), 2:0 მეტრეველი (20), 3:0 ივანოვი (32), 3:1 გერეჩი (84)
სსრკ: ბელიაევი, კესარევი, მასლიონკინი, ბ. კუზნეცოვი, ვოინოვი, ცარიოვი, მეტრეველი, ვ. ივანოვი, სიმონიანი, მამედოვი, ილინი
მწვრთნელი: გავრილ კაჩალინი
უნგრეთი: ბაკო, კარპატი, შიპოში, შაროში, ბუნჯაკი, ბერენდი, ბუდაი, გერეჩი, ჩორდაში, ტიხი, ბენიჩი
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
მსაჯი: გრილი (ავსტრია)
28.05.58. მოსკოვი. 100 572 მაყურებელი

### უნგრეთი 0:1 სსრკ

0:1 ვოინოვი (58)
უნგრეთი: გროშიჩი, მატრაი, შიპოში, შაროში, ბოჟიკი, კოტასი, შანდორი, გერეჩი, ალბერტი, ტიხი, ფენვეში
მწვრთნელი: ლაიოშ ბაროტი
სსრკ: იაშინი, კესარევი, მასლიონკინი, ბ. კუზნეცოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ისაევი, ვ. ივანოვი, ბუბუკინი, მესხი
მწვრთნელი: მიხაილ იაკუშინი
მსაჯი: კოვალი (პოლონეთი)
27.09.59. ბუდაპეშტი. 78 481 მაყურებელი

### საფრანგეთი 7:1 საბერძნეთი

1:0 კოპა (23), 2:0 ფონტენი (25), 3:0 ჩისოვსკი (29), 3:1 იფანტისი (47), 4:1 ვენსანი (61), 5:1 ჩისოვსკი (68), 6:1 ფონტენი (81), 7:1 ვენსანი (87)
საფრანგეთი: კოლონა, კელბელი, ლიაფონი, ლერონი, პენვერნი, მარსელი, დუი, ფონტენი, კოპა, ჩისოვსკი, ვენსანი
მწვრთნელი: ალბერ ბატე
საბერძნეთი: თეოდორიდისი, პაპულიდისი, ლინოკსილაკისი, სტეფანაკოსი, ლუკანიდისი, პოლიხრონიუ, ემანუელიდისი, ნესტორიდისი, იფანტისი, თეოფანისი, პოლევასი
მწვრთნელი: რინო მარტინი
მსაჯი: დინსტი (შვეიცარია)
01.10.58. პარიზი. 37 590 მაყურებელი

### საბერძნეთი 1:1 საფრანგეთი

0:1 ბრუიე (71), 1:1 მარში (85ს.კ.)
საბერძნეთი: თეოდორიდისი, პაპულიდისი, ლინოკსილაკისი, ანგელოპულოსი, ნებიდისი, პოლიხრონიუ, სიდერისი, პაპაემანუილი, იფანტისი, ნესტორიდისი, ფსიხოსი
მწვრთნელი: ანდონის მიაკისი
საფრანგეთი: აბე, კელბელი, ბოლინი, ლერონი, მარში, ფერიე, ვისნესკი, გიია, ბრუიე, დომბეკი, დელადერიერი
მწვრთნელი: ალბერ ბატე
მსაჯი: ორლანდინი (იტალია)
03.15.58. ათენი. 18 833 მაყურებელი

### რუმინეთი 3:0 თურქეთი

1:0 ოაიდე (62), 2:0 კონსტანტინი (77), 3:0 დინულესკუ (81)
რუმინეთი: ტომა, პოპა, კარიკასი, მაკრი, ი. ნუნვაილერი, ოაიდე, კონსტანტინი, ვ. ალექსანდრესკუ, დინულესკუ, ეფტიმიე, ნ. ტეტარუ
მწვრთნელი: აგუსტინ ბოტესკუ
თურქეთი: თურგაი, კ. ისმაილი, ჰაჯი, ბასრი, ე. მუსტაფა, ბ. აჰმეთი, ჰილმი, ჯანბარტუ, ო. მეთინი, ქადრი, ლეფტერი
მწვრთნელი: ლეანდრო რემონდინი (იტალია)
მსაჯი: დინსტი (შვეიცარია)
02.11.58. ბუქარესტი. 67 200 მაყურებელი

### თურქეთი 2:0 რუმინეთი

1:0, 2:0 ლეფტერი (14პ, 54)
თურქეთი: ეზჯანი, კ. ისმაილი, ჰაჯი, ბასრი, ე. მუსტაფა, ბ. აჰმეთი, ჰილმი, ჯანბარტუ, სუათი, ქადრი, ლეფტერი
მწვრთნელი: ლეანდრო რემონდინი (იტალია)
რუმინეთი: ტომა, პოპა, კარიკასი, სოარე, ი. ნუნვაილერი, ოაიდე, იენეი, ვ. ალექსანდრესკუ, ი. ალექსანდრესკუ, ზავოდა, ანგელ ვასილე
მწვრთნელი: აგუსტინ ბოტესკუ
მსაჯი: ნედელკოვსკი (იუგოსლავია)
26.04.59. სტამბოლი. 23 567 მაყურებელი

### ნორვეგია 0:1 ავსტრია

0:1 ჰოფი (32)
ნორვეგია: ა. ჰანსენი, ჰ. მატისენი, ნატლანდი, ჰალვორსენი, რ. იოჰანსენი, სვენსენი, რ. პედერსენი, ჰ. კრისტიანსენი, კრისტოფერსენი, ჰენუმი, ბორგენი
მწვრთნელი: კრისტიან ჰენრიკსენი
ავსტრია: შმიდი, ბიულვაჩი, ჰაზენკოპფი, ჰანაპი, შტოტცი, კოლერი, ჰორაკი, კნოლი, ე. ჰოფი, ჰამერლი, შკერლანი
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, [illegible]ან ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## I ლიგა 10 აპრილს დაიწყება

საკალათბურთო ჩემპიონატის I ლიგის თამაშები წესით 20 მარტს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ 10 აპრილისთვის გადაიდო. ჯერ მზად არა ვართ, ცოტა კიდევ გვადროვეთო — უთხოვიათ მონაწილე კლუბებს ფედერაციისთვის.

სადღეისოდ თურმე ფედერაციაში ექვსი გუნდის განაცხადია. I ლიგაში თამაშის სურვილი გამოუქთვამს „დინამო 2“-ს, „სამედიცინო აკადემიას“, ქუთაისს, ბათუმს, ფოთს და სტუ 2-ს.

ფედერაციის გენერალური მდივნის აკაკი მეგრელაძის თქმით, შეჯიბრი ოთხ წრედ ჩატარდება, უკლებლივ ყველა შეხვედრა თბილისში, ვერის ბაღში გაიმართება და სადღაც მაისის ბოლოსთვის ის ორი კლუბიც გამოვლინდება, რომლებიც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებენ. უმაღლესი ლიგის მეთერთმეტე და მეთორმეტე ადგილოსნები პირველ ლიგაში ჩაინაცვლებენ, რაც დებულებითაა გათვალისწინებული.

## რეგულარული ჩემპიონატი ორშაბათს დასრულდება

„გორი“ და „ბასკო“ ერთმანეთს მეთორმეტე ტურში უნდა შეხვედროდნენ. ეს მატჩი მაშინ გადაიდო, რადგან ენერგოკრიზისის გამო მთლიანად ტურის გამართვაც სათუო გახდა. მართალია შემდეგ გამოსწორდა მდგომარეობა, მაგრამ ბათუმელები თბილისში ჩამოსვლას ველარ ასწრებდნენ, რაკი ამის შესახებ მხოლოდ წინა დღეს შეიტყვეს.

მას მერე კარგა დრო გავიდა, სულ ახლახან კი კალათბურთის ფედერაციამ ამ შეხვედრის გამართვის ზუსტი თარიღი დათქვა. 19 მარტს „ბასკო“ ისედაც სტუმრობს დედაქალაქის ჩემპიონ „ვითასთან“ სათამაშოდ, მეორე დღეს კი, ანუ 20-ში, 13 საათზე „გორს“ დაუპირისპირდება. ამით რეგულარული ჩემპიონატიც დამთავრდება.

### საფრანგეთი

XXVII ტური

**ნანსი — სტრასბური 72:64, დიჟონი — საონი 69:68, შამპანი — შოლე 65:69, ლე მანი — ვილერბანი 87:66, ბეზანსონი — ევრე 89:87, პო ორტეზი — ანტიბი 64:59, პარი სენ ჟერმენი — ლიმოჟი 73:63, მონპელიე — გრაველინი 67:74**

ფრანგებმა თავიანთი ჩემპიონატის 26-ე ტურს ორ დღეში 27-ეც მიაყოლეს და ახლა პლეი ოფის დაწყებამდე სამი ტურიღა დარჩა. სტუმრად ორი წაგების შემდეგ, როგორც იქნა, მოიგო „პარი სენ ჟერმენმა“. დედაქალაქელებმა ბოლო დროს საუცხოოდ მოთამაშე „ლიმოჟი“ იმსხვერპლეს. „ლიმოჟელთა წინააღმდეგ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ“ — თქვა „ლიმოჟის“ ყოფილმა წევრმა, აწ კი პსჟ-ს სპორტულმა დირექტორმა რიშარ დაკურიმ. პარიზელებს საქმე იმანაც გაუიოლა, რომ მათი მეტოქის სასტარტო ხუთეულში ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი ბონატო არ იყო. თავიდან პსჟ-მ უკეთ დაიწყო. განსაკუთრებით მისი გამთამაშებელი სკიარა აქტიურობდა, ვის ანგარიშზეც პირველ ხუთ წუთში უკვე 8 ქულა იყო, მთლიანად კი იგი 21 ქულით შეეწია თავისიანებს. „ლიმოჟს“ ძალიან უჭირდა ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლა (მხოლოდ ორი მოხსნა საწყის 7 წუთში), თუმცა, ამის მიუხედავად, მეტოქეს ტოლს არ უდებდა და ზუსტი სამქულიანი სროლების (ხუთიდან ოთხი 15 წუთში) წყალობით ტაიმის შუაწელში 21:18 დაწინაურდა კიდეც. ამის მერე ინიციატივა ისევ მასპინძლების ხელში გადავიდა და კინგისა (16 ქულა) და სკიარას ძალისხმევით ტაიმიც მათ მოიგეს — 41:32.

შესვენების შემდეგ მოედანზე ბონატოც გამოჩნდა, მაგრამ ლიმოჟელების პრობლემები ამან ვერ გადაჭრა. პარიზელები განსაკუთრებით ძლიერად საჯარიმო ტყორცნებისას იყვნენ და ყველა ჩააგდეს. 34-ე წუთზე ანგარიში 57:47 იყო მათ სასარგებლოდ. ამ დროს სტუმართა მწვრთნელმა ივანოვიჩმა ახალგაზრდა რუპეტი ჩართო თამაშში, ვინაც დამრიგებელს იმედები გაუმართლა და დარჩენილ დროში 6 ქულაც გააკეთა. თუმცა ამან მატჩში გარდატეხის შესატანად არ იკმარა და „პარი სენ ჟერმენმა“ პრაქტიკულად გაინაღდა პლეი ოფში მონაწილეობა.

ბურგუნდიულ დერბიში „საონს“ „დიჟონისთვის“ რომ ეჯობნა, მაშინ საუკეთესო რვა გუნდის ექვსი წევრს [illegible] უკვე [illegible] „ვილერბანს“, „ლიმოჟსა“ და „პო ორტეზს“ — პსჟ, „შოლე“ და თვით „[illegible]ონიც“ მიემატებოდნენ, რადგან „დიჟონი“ მათ თეორიულადაც კი ველარ დაეწეოდა. თუმცა მოხდა სხვანაირად. ჯექსონმა (21 ქულა) და მისმა თანაგუნდელებმა ბოლო წამებზე გამოგლიჯეს ხელიდან გამარჯვება საონელებს და სამმატჩიანი წაგებების სერიაც შეწყვიტეს, თანაც პლეი ოფში გასვლის საკმაოდ კარგი შანსიც შეინარჩუნეს. მით უმეტეს, რომ მეორე დერბიში, ოღონდ ალზასურში, „ნანსიმ“ „სტრასბურს“ მოუგო.

„შამპანი“ ისე საცოდავად თამაშობს, შეიძლება ითქვას, გავარდნას ველარაფრით გადაურჩება. სამაგიეროდ, „გრაველინმა“ ამოისუნთქა, უშუალო კონკურენტს სტუმრად სძლია და „პრო A“-ში ადგილის შესანარჩუნებლად ქვედალიგელებთან გადათამაშებაში მონაწილეობა სავარაუდოდ „მონპელიეს“ მოუწევს. რა თქმა უნდა, თუ „შამპანმა“ ვერ მოახერხა მისთვის ადგილის გაცვლა.

გათამაშების ლიდერი „ვილერბანი“ „ლე მანს“ ესტუმრა და სეზონის მეექვსე მარცხიც იწვნია. სილსის არყოფნა ნამდვილად ვერ ამართლებს სტუმრების ასეთი ანგარიშით წაგებას. ვულრიჯის წინამძღოლობით ლემანელები პირველივე წუთიდან შეუდგნენ მოწინააღმდეგის რბევას და ეს კარგადაც გამოუვიდათ. მასპინძლებმა გუნდს, რომელიც საშუალოდ 67,3 ქულას აძლევს მეტოქეს, 87 ქულა ჩაუგდეს და პლეი ოფისთვის ბრძოლაშიც კონკურენტებზე უკეთესი პოზიცია შეინარჩუნეს. „ვილერბანს“ კი ევროლიგის მეოთხედფინალამდე „შამპანთან“ საფრანგეთის თასზე 1/32 ფინალის მატჩი ელის და თურქულ „ეფესს“, ალბათ, მოგების შემდეგ ეწვევა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 27 | 21 | 6 | 2059:1837 | 48 |
| ლიმოჟი | 27 | 19 | 8 | 2021:1849 | 46 |
| პო ორტეზი | 27 | 18 | 9 | 2037:1971 | 45 |
| პსჟ | 27 | 17 | 10 | 1999:1771 | 44 |
| შოლე | 27 | 17 | 10 | 2004:1942 | 44 |
| საონი | 27 | 16 | 11 | 2012:1857 | 43 |
| ლე მანი | 27 | 16 | 11 | 2033:1957 | 43 |
| სტრასბური | 27 | 15 | 12 | 1950:1937 | 42 |
| დიჟონი | 27 | 14 | 13 | 2021:1960 | 41 |
| ბეზანსონი | 27 | 11 | 16 | 1983:2011 | 38 |
| ნანსი | 27 | 11 | 16 | 1871:1937 | 38 |
| ევრე | 27 | 10 | 17 | 1904:2010 | 37 |
| ანტიბი | 27 | 9 | 18 | 1801:2015 | 36 |
| გრაველინი | 27 | 9 | 18 | 1906:2128 | 36 |
| მონპელიე | 27 | 7 | 20 | 1846:2079 | 34 |
| შამპანი | 27 | 6 | 21 | 1857:2043 | 33 |



ლე მანი — ვილერბანი 87:66. ვილერბანელი ჟან-გელ პერსევო (ბურთით) და ენდრიუ ვულრიჯი

### რეგულარული ჩემპიონატი

# რეპეტიცია დიდი ბრძოლის წინ

15 მარტი

**საკრამენტო 98:78 კლიპერსი**

საკრამენტო: ვებერი (25), სტოიაკოვიჩი (17)

კლიპერსი: ოდომი (21 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

**დეტროიტი 113:91 ორლანდო**

დეტროიტი: სტეკჰაუზი (32), ჰილი (24), ლეიტნერი (22 ქულა, 17 მოხსნა)

ორლანდო: ამაეჩი (27), მერსერი (19)

**შარლოტი 77:74 ჩიკაგო**

შარლოტი: ჯონსი (18 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ვესლი (18)

ჩიკაგო: კარი (18)

**ატლანტა 107:113 ინდიანა**

ატლანტა: ჰენდერსონი (21), ჯექსონი (17), მუტომბო (16)

ინდიანა: როუზი (32), მილერი (28), სმიტსი (16)

**ბოსტონი 121:104 გოლდენ სტეიტი**

ბოსტონი: უოლკერი (25), პირსი (19)

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (32), ვ. კამინგსი (23)



AP დეტროიტიდან

დეტროიტი — ორლანდო. დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზი (თეთრ ფორმაში) ჩარლზ აუთლოუს გაურბის

დღეს მთელი საკალათბურთო ამერიკა ზედიზედ 19 მატჩის მომგებ „ლეიკერსზე“ ლაპარაკობს. ეს თემა პოპულარული და აქტუალურია, განსაკუთრებით დეტროიტში, რადგან აქაური „პისტონზი“ პარასკევს შინ ერკინება დაუმარცხებელ „ლეიკერსს“. დეტროიტში იმედი აქვთ, რომ ლოსანჯელესელები სწორედ აქ შეწყვეტენ თავიანთ ძლევამოსილ სერიას და შაკილ ონილთან და კომპანიასთან შეხვედრას განსაკუთრებული ინტერესით და ამავ დროს შიშით მოელიან. მაგრამ ამ ლეიკერსულ ციებ-ცხელებაში მაინც არავის დავიწყებია ონილის ძველ გუნდთან, „ორლანდოსთან“ მატჩის მნიშვნელობა. ამ ბოლო წლებში „ორლანდო“, ცხადია, ის აღარაა, რაც ონილის დროს იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გუნდი მაინც უხერხულ მეტოქეს წარმოადგენს „დეტროიტ პისტონზისთვის“. მასთან ბოლო 12 შეხვედრაში ათჯერ უმარჯვია და მხოლოდ ორი წაუგია. გარდა ამისა, უვარსკვლავო „ორლანდომ“ მყარად მოიკიდა ფეხი აღმოსავლეთის საშუალო გუნდებს შორის და პლეი ოფისთვის მებრძოლებს მისი სახით სერიოზული კონკურენტი გაუჩნდათ. „მეჯიქმა“ აღმოსავლეთში მერვე ადგილიდან გამოაძევა „მილუოკი ბაქსი“ და მეშვიდეადგილოსანი „დეტროიტის“ დამარცხების შემთხვევაში კიდევ ერთი საფეხურით წაიწევდა წინ. თუმც ეს ველარ მოახერხა. მასპინძლებმა შეძლეს, მობილიზებულები დახვედროდნენ ცხრილის მეზობელს და იოლადაც მოუგეს, თვითონ შეხვედრა თამაშისწინა ინტრიგის შესაბამისი ვერ გამოდგა. „დეტროიტმა“ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო ერთი შეხედვით დიდი ომისთვის განწყობილ „მეჯიქს“ და გაიმყარა მეშვიდე ადგილი საერთო აღმოსავლურ ცხრილში. გამარჯვებაში ლომის წილი ჯერი სტეკჰაუზმა დაიდო, რომელმაც სტუმარ გუნდს 32 ქულა შეაგება.

ამ ათიოდე დღის წინ „დეტროიტის“ მთავარი მწვრთნელი ელვინ ჯენტრი მისმა მოადგილემ, ჯორჯ ირვინმა რომ შეცვალა, ამ ამბავს ბევრი უკმაყოფილოდ შეხვდა, მაგრამ სულ ორი კვირაც არ დასჭირდა იმის დამტკიცებას, რომ ეს ცვლილება დროული გახლდათ. ირვინი კარგად მოერგო მწვრთნელის სავარძელს და თავის გუნდს ხუთი თამაშიდან ოთხი მოაგებინა. ირვინის ხელში უფრო ათამაშდა ისედაც კარგ ფორმაში მყოფი ჯერი სტეკჰაუზი. ამ ხუთ მატჩში მისი შედეგიანობა 31,4 ქულაა. უმთავრესად სწორედ მან ჩასცა ლახვარი „ორლანდოს“. სტეკჰაუზს კარგად წაეხმარნენ გრანტ ჰილი და კრისტიან ლეიტნერი. ამ უკანასკნელმა 17 ბურთი მოხსნა და სეზონის რეკორდი დაამყარა. გრან ჰილმა კი 24 ქულა გააკეთა და კარიერაში 9000 ქულას გადააბიჯა, რის შემდეგაც მერვე დეტროიტელი გახდა, ვინც ეს მოახერხა.

პლეი ოფისთვის მებრძოლ გუნდთა მარაქაში გარევას ასოციაციის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი, „ბოსტონ სელტიქსიც“ ლამობს, მაგრამ, „ორლანდოსგან“ განსხვავებით, ეს არცთუ რიგიანად გამოსდის. „ბოსტონი“ მაინც ცდილობს და აი, ბოლო ექვსი შეხვედრიდან მეხუთედ მოიგო. თავდაპირველად ერთობ გაუჭირდათ მასპინძლებს „გოლდენ სტეიტის“ გატეხვა. პირველი ნახევარი მხოლოდ ორი ქულის სხვაობით მოუგეს, მაგრამ მესამე მეოთხედში სტუმრებმა უამრავი შეცდომა დაუშვეს და „სელტიქსისგან“ მარტო ამ პერიოდში 41 ქულა მიიღეს საკუთარ კალათში, რის შემდეგაც ბოლო მეოთხედი ფაქტობრივად ფორმალობად იქცა.

90-იანი წლები ერთადერთი ათწლეულია, რომელშიც „ბოსტონი“ ნბა-ს ჩემპიონის ტიტულის გარეშე დარჩა. ჩემპიონობას ვინლა ჩივის, ამ გუნდს, რომელიც ერთ დროს ლიგას აზანზარებდა, ხუთი წელია, პლეი ოფში მოხვედრა სანატრელი გაუხდა და ალბათ წლეულსაც მშრალზე დარჩება. პლეი ოფს ვერ იხილავს ვერც მისი მუდმივი მკვიდრი „ატლანტა ჰოქსი“, რომლისთვისაც, პირველად ბოლო ათი წლის მანძილზე, სეზონი რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დასრულდება და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჯორჯიელები კარგა ხანია, ამას შეეგუვნენ. ბოლო ათი შეხვედრიდან სულ ორი გამარჯვება აქვთ აქტივში. აი, ახლაც ლენი ვილკენსის ბიჭები „ინდიანასთან“ წინასწარ განწირულები იყვნენ. მათსავე დარბაზში, „ფილიპს კრენაში“, სტუმართა ჯეელმა ჯალენ როუზმა სულ თავბედი აწყევლინა მასპინძლებს, თვითონ კი კარიერაში სარეკორდო, 32 ქულა მიითვალა.

15 მარტის შეხვედრებიდან მოულოდნელად ყველაზე დაძაბული „შარლოტ“ — „ჩიკაგოს“ ჭიდილი გამოდგა და ამაში დამნაშავე „შარლოტ ჰორნეტსია“, რომელსაც აღმოსავლეთის ყველაზე უხეირო გუნდთან მოგება წესით არ უნდა გასჭირვებოდა. მასპინძლებმა თავად შეიქმნეს პრობლემები, როცა ბოლო მეოთხედში რამდენიმე იოლი ბურთი ააცილეს, 13 სროლიდან მხოლოდ სამი ჩააგდეს და ბოლო შვიდ წუთში თამაშიდან ერთხელაც ვერ იხეირეს. მათ ბედმა მაინც არ უმტყუნათ და „ჩიკაგოსთან“ მარცხით გამოწვეულ სირცხვილს გადაურჩნენ.

ლიგის ორ უძლიერეს გუნდთან — „ლეიკერსთან“ და „პორტლენდთან“ ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „საკრამენტომ“ საცოდავი „კლიპერსი“ მოიხელთა და ჯავრიც მასზე იყარა. „კლიპერსი“ წინა ორ შეხვედრაში გამარჯვებული გამოსულიყო, მაგრამ ვერც ამან განაწყო საბრძოლველად. თანაგუნდელთა გამხნევებას შეეცადა ახალბედა ლამარ ოდომი, რომელმაც სამმაგი დუბლი სეზონში მესამედ გაახერხა, მაგრამ მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ან რაღა უნდა ელონათ სტუმრებს, როცა პირველი ტაიმი 22 ქულის სხვაობით წააგეს. მეორე ნახევარში „საკრამენტომ“ მეტოქეც დაზოგა და საკუთარი ძალებიც.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ...ათენში რეკორდების რეკორდია



წყალზე წამოწოლილმა ნეილ უოლკერმა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროც მოიგო და ორი რეკორდიც მიითვალა

„მცირე წყლის" მსოფლიოს ჩემპიონატი, ცურვის საერთაშორისო ფედერაციისთვის (ფინა) ყველაზე ახალგაზრდა შეჯიბრებაა. იგი პირველად შვიდი წლის წინათ ჩატარდა. მაშინ, 1993 წელს, მას ესპანურმა პალმა დე მალიორკამ უმასპინძლა. წარმატებით ფრთაშესხმულმა ფინა-მ გადაწყვიტა, რომ ამგვარი ასპარეზობანი თავის კალენდარში შეეტანა. პალმა დე მალიორკას მოჰყვა კიდევ სამი მსოფლიოს ჩემპიონატი — 1995 წელს რიო დე ჟანეიროში, 1997 — გოტებორგში და 1999 — ჰონკონგში.

ოთხივე ჩემპიონატების დონე ერთმანეთზე უკეთესი აღმოჩნდა.

ჩემპიონატი ხუთი მსოფლიოს რეკორდით დაიწყო. აქედან ორი, ამერიკელ ნეილ უოლკერს ეკუთვნის, რომელმაც 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო გაცურვისას, ავსტრალიელი მეტ უელშის მიერ 14 იანვარს დამყარებული მსოფლიოს რეკორდი (24,11) დაამხო — 24,04, ნახევარფინალში კი თავისივე რეკორდი კიდევ უფრო შეამცირა — 23,42 წმ, ხოლო ფინალში რეკორდი არა, მაგრამ მსოფლიოს მეორე შედეგი მაინც აჩვენა 23,99 და ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

ჩემპიონატი წარმატებულად დაიწყეს შვედებმაც, იოჰან ნისტრომმა, მათიას ოჰლინმა, სტეფან ნისტრანდმა და ლარს ფროლანდერმა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, 1998 წლის 20 დეკემბერს, რიო დე ჟანეიროში ბრაზილიელების მსოფლიოს რეკორდი (3,10,45) დაამხეს — 3,09,57 წუთი.

მანამდე კი ფროლანდერმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში, ავსტრალიელ მაიკლ კლიმის მსოფლიოს რეკორდი (50,99) გააუმჯობესა — 50,59.

თავი გამოიჩინა ბრიტანელ ქალთა კვარტეტმაც. მათ 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. კლეარ ჰუდარტმა, ნიკოლა ჯეკსონმა, კარენ ლეგიმ და კარენ პიკერინგმა შვედების მიერ ჰონკონგის მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი წლის წინ დამყარებული რეკორდი (7,51,70) დაამხეს — 7,49,11.

**გიგა გურასაშვილი**



# ჟაჟამ ოლანოს თავი ანაცვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საუკეთესოთ, იან ჰრუსკას, აბრაამ ოლანოს და კარლოს დომინგესს ლამაზმანები სწყალობენ

**იტალიაში** ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა ტირენო-ადრიატიკოს მრავალდღიანი ტური, რომელიც გუშინწინ დასრულდა ესპანელი აბრაამ ოლანოს (ონსე) გამარჯვებით.

თავიდან ორი ეტაპი სპრინტერული იყო. პირველი მსოფლიოს ჩემპიონმა ოსკარ ფრეირემ მოიგო, მეორე კი ჩეხმა იან სვორადამ. მესამე ეტაპზე სპორტსმენებს რამდენიმე მთის დაძლევაც მოუხდათ, თუმცა მოგებული მაინც სპრინტმა გაარკვია. პელოტონს მოცილებულ რამდენიმე მრბოლს შორის, ყველას ფრანგმა ლორან ჟალაბერმა აჯობა და საერთო ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გადაინაცვლა. ამ ეტაპის შემდეგ ჟაჟას საბოლოო გამარჯვება ეჭვს თითქმის აღარ იწვევდა, რადგან მისმა თანაგუნდელმა აბრაამ ოლანომ თქვა, რომ ყველანაირად დაეხმარებოდა გუნდის ლიდერს. თუმცა მეხუთე ეტაპზე...

მანამდე კი, მეოთხეს ფინიშს პელოტონმა ისევ დაუშლელმა უწია და კვლავ ჯგუფური სპრინტი გაიმართა. მარიო ჩიპოლინის ყოფილი გრეგარის და, ახლა, „ტელეკომში" გადაბარგებული მატეო ფანინის დახმარებით მშვენივრად გამოქანებულმა ერიკ ზაბელმა ჩიპოს სულ მცირედით გაუსწრო და სეზონის პირველი წარმატებაც იზეიმა.

კვირას კი ასკოლი პისენოს მიდამოებში ინდივიდუალური რბოლა მოეწყო. სპორტსმენებს 26,5 კილომეტრი უნდა დაეფარათ. გზა მეტად სწორი, ყოველგვარი აღმართების გარეშე იყო, რაც ყველაზე მეტად ამ დისციპლინაში ყოფილ მსოფლიოს ჩემპიონ აბრაამ ოლანოს აძლევდა ხელს. მანაც მთელი ძალით იქროლა და თავის „დასახმარებელ" ჟალაბერს 54 წამი მოუგო. მეორე ადგილი, ყველასთვის მოულოდნელად, ნაკლებადცნობილ ჩეხ იან ჰრუსკას დარჩა, ვინც რბოლა +9 წამით დაამთავრა.

„ამ მოგებას ჩემს სპორტულ დირექტორ მანოლო საისს ვუძღვნი, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგას. სეზონის დაწყებამდე ზედმეტი 6-7 კილო დავიკელი და ახლა საუცხოო ფორმაში ვარ. ეგებ უფრო დიდ ტურნირებზეც მივაღწიო წარმატებას" — განაცხადა ეტაპის შემდეგ ოლანომ. ჟალაბერმა კი პირადი ინტერესები მყის დაივიწყა, ოლანოს მოგება მიულოცა და თქვა: „მთავარი „ონსეს" გამარჯვებაა. ყველაფერს გავილებ აბრაამის დასახმარებლად". თქმა და ქმნა ერთი იყო. დარჩენილ ეტაპებზე მსოფლიოს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე მყოფმა მრბოლმა თავი ანაცვალა თანაგუნდელს და მის საბოლოო წარმატებაში დიდი წვლილიც დაიდო.

მეექვსე ეტაპის ბოლოს მაყურებელმა კვლავ სპრინტერული ფინიში იხილა, რომელშიც ფრეირემ ბელგიელ ვან პეტეგემსა და ლატვიელ ვაინსტეინსს აჯობა. მეშვიდე ეტაპზე კი კლასიფიკაციაში მე-2 ნომერმა, ჰოლანდიელმა მიქაელ ბოგერდმა იმარჯვა, რომელმაც იტალიელ მარკო სერპელინის 18, გერმანელ იენს ფოიგტს კი 20 წამი მოუგო.

ბოლო, მერვე ეტაპი მრბოლებმა ძალიან დაბალ ტემპში წარმართეს. პელოტონის საშუალო სიჩქარე 30 კმ/სთ იყო. სან ბენედეტო დელ ტრონტოს ქუჩებში მოწყობილ ფინიშს ლამის ყველა სპორტსმენმა ერთად უწია. სპრინტში გამარჯვება კი რომანს ვაინსტეინსს დარჩა, რომელმაც უკან ისეთი ძლიერი პეპლები მოიტოვა, როგორებიც მარიო ჩიპოლინი და იერონ ბლიილევენსი არიან. 35-ე ტირენო-ადრიატიკოს საბოლოო ჩავლაში კი პირველობა აბრაამ ოლანომ მოიპოვა.

**გაიოზ თალაკვაძე**

### საბოლოო შედეგები

1. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) — 33 სთ 17 წთ 36 წმ
2. იან ჰრუსკა (ჩეხეთი) — +10 წმ
3. კარლოს დომინგესი (ესპანეთი) — +17
4. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — +38
5. მარკო სერპელინი (იტალია) — +46



# მამაო ჩემო...

ინდიან უელსი. აშშ. მასტერსი — ინდიან უელსი. ჰარდი. საპრიზო 4,5 მილიონი $

ქალები. მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — მონიკა სელეში (7, აშშ) 6:3, 6:1; **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) 6:2, 6:1; **მარი პირსი** (5, საფრანგეთი) — სერენა უილიამსი (3, აშშ) 6:2, 6:1; **ელენა დემენტიევა** (რუსეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4, 6:1.



მარი პირსი

რუსი ელენა დემენტიევა თბილისელ ჩოგბურთის ქომაგებს კარგად უნდა ახსოვდეთ. ჩრდილომეზობლური ჯიშის დიაცთა ტიპიურ წარმომადგენელს ქერა, გრძელი ნაწნავითა და ძალიან გრძელი ფეხებით ჩვენი დედაქალაქის ღია პირველობაზე გულშემატკივარი არასოდეს დაჰკლებია. ოღონდ ეგ იყო, ელენას თბილისში ვარსკვლავები არ მოუწყვეტია ციდან: ერთხელ ნახევარფინალში წააგო თავისზე უმცროს ნადეჟდა პეტროვასთან, მეორედ კი სულაც პირველ თუ მეორე წრეში გავარდა.

თუმცა მას შემდეგ 18 წლის დემენტიევამ საკრეიმო კორტებზე, ეტყობა, ბლომად ოფლი დვარა, საუკეთესოთა ასეულში შეაღწია, მცირე ტურნირებზე ასპარეზობასაც შეეშვა და ინდიან უელსში კარიერის პირველ ხმაურიან წარმატებასაც მიაღწია — ზედიზედ 5 მეტოქის დამარცხებით ნახევარფინალში გააღწია.

„შარშანდელთან შედარებით ბევრ რამეში მოვუმატე — მოწოდებაში, სტაბილურობაში. დიდ ყურადღებას ვამახვილებ ფეხის მოძრაობასა და ბურთის სწორ პოზიციაში დახვედრაზე და ამაზე ყოველდღიურად თითქმის ერთ საათს ვვარჯიშობ. ოღონდ ბადესთან თამაში მაინცდამაინც ახლაც არ მეხერხება" — ასე ახსნა თავისი პროგრესი რუსმა, რომელსაც ამჟამად ყველაზე მეტად თანამემამულე და კოლეგა ანა კურნიკოვა უკავრება, ჩოგბურთის თამაში კი ამ სპორტის ფანატმა დედამ ძალად დააწყებინა.

მეოთხედფინალში, ალნაგობითა და თამაშის მანერით მარი პირსის მსგავსმა დემენტიევამ შავკანიან ჩანდა რუბინს მძლავრი ფორჰენდის წყალობით შანსი არ დაუტოვა და საათზე ოდნავ მეტში აჯობა.

თავად რუსს თავის კარიერაში გარდამტეხ მომენტად შარშანდელი ფედერაციის თასის ფინალი მიაჩნია, სადაც თვით ვინუს უილიამსს მოუგო: „იმ მოგებამ თავდაჯერება შემმატა. ახლა ვფიქრობ, რომ რაკი ვინუსს ვაჯობე, შემიძლია, საუკეთესოთა ათეულის სხვა წევრებიც დავამარცხო."

უფროსი უილიამსი ინდიან უელსში წლეულს არ ასპარეზობს, მის უმცროს დაიკოს კი, რომელიც ტურნირის შარშანდელი ჩემპიონიც გახლდათ, ზემოხსენებულმა პირსმა მართლაც რომ ბდღვირი აღინა.

ბოლო ერთ თვეში ფრანგი ლამაზმანის ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ჯერ იყო და, 8 თებერვალს, ახლომხედველმა პირსმა თვალის ლაზერული ოპერაცია გაიკეთა და ლინზებთან გაწამაწიასაც წერტილი დაუსვა: „ახლა ბურთს გაცილებით უკეთ ვხედავ და წინასწარ შემიძლია გავიქცე მის დასახვედრად. ისე აღფრთოვანებული ვარ, რომ ზოგჯერ მეტისმეტი მომდის ხოლმე და ზედმეტ ნაბიჯებს ვდგამ."

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი ცვლილება კი ის არის, რომ მარი თავის შერეკილ მამას, ჯიმს შეურიგდა. უფროსი პირსი თავის დროზე ქალიშვილის მწვრთნელი იყო, მაგრამ ვარჯიშის გარდა მას სახეში უტყლაშუნებდა და მადიანად ლანძღავდა ხოლმე.

ამიტომაც იყო, 90-იანების დასაწყისში ჩოგბურთელმა მამას რომ უჩივლა და ორი წლით ქალთა ტურნირებზე დასწრების უფლება ჩამოართვა. მერე კი უკვე თავად ჯიმმა მიმართა სასამართლოს და ნახევარი მილიონი დოლარის გადახდა მოსთხოვა ქალიშვილს.

ერთი სიტყვით, მამა-შვილი წლების მანძილზე სათოფეზე არ ეკარებოდა ერთიმეორეს, ამიტომ პირსის გადაწყვეტილება, ისევ მისთვის მიემართა სისწრაფისა და ფიზიკური მზადყოფნის გასაუმჯობესებლად, ყველასთვის მოულოდნელი იყო.

„ეს სეზონი კარგად ვერ დავიწყე. ადრე ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ საჭირო ინტენსიურობით არა. ახლა კი ვგრძნობ, რომ მხოლოდ ამგვარად გამოვავლენ სრულად საკუთარ შესაძლებლობებს" — მიაჩნია მარის.

ძნელი სათქმელია, მამის კეთილისმყოფელი ზეგავლენის დამსახურებაა თუ არა, მაგრამ მეოთხედფინალში სერენა უილიამსთან ფრანგი ჩოგბურთელი ბრწყინვალედ თამაშობდა — ორივე მხრიდან მთელი ძალით და ზუსტად ურტყამდა, ფაქტობრივად, შეცდომას არ უშვებდა და ოდნავაც არ ნერვიულობდა.

„ძალიან ძნელია, როდესაც საუკეთესო ფორმაში არ ხარ, მეტოქე კი გადასარევად ირჯება. არასოდეს მინახავს, ვინმეს ასე სტაბილურად ეთამაშოს და ამდენი ბურთი ზედ ხაზზე დაესვას" — თავი იმართლა სერენამ, რომელმაც პრესკონფერენციის დაწყებამდე უმწეობისა და იმედგაცრუებისგან ბლომად ცრემლი აღვარღვარა.

პირსმა ყველაფერი ოდნავ სხვაგვარად ახსნა: „სერენას ძველებური მძვინვარე ენერგია ვეღარ შევნიშნე. კორტზე ძალიან მოშვებული ვიყავი. მასთან ორივე წინა შეხვედრა წავაგე და დასაკარგი არაფერი მქონდა."

თუ ქალებში უკვე ნახევარფინალისტთა ვინაობა გაირკვა, კაცებმა ჯერ მხოლოდ ორი წრის დასრულება მოასწრეს.

სამხრეთაფრიკელი უეინ ფერერა იმ იშვიათ ჩოგბურთელთაგანია, ვისთანაც თამაშიც უიმბლდონის ექსვგზის ჩემპიონ პიტ სამპრასს ძალიან უჭირს. ინდიან უელსამდე პირად შეხვედრათა ანგარიში მათ შორის საყაიმო — 5:5 იყო.

ერთ დროს საუკეთესოთა ათეულელი ფერერა ბოლო ხანებში კლასიფიკაციაში დაბლა დაეშვა, ზოგ ტურნირზე მოსახვედრად კვალიფიკაციის გავლაც უხდება, თუმცა სამპრასთან მატჩებისთვის, როგორღაც ყოველთვის განსაკუთრებით განეწყობა-ხოლმე.

პისტოლ პიტს ამჯერა... კ ძალიან გაუძნელდა. მან ჯერ პირველი სეტი წააგო, ანგარიშის გათანაბრება დიდი გაჭირვებით მოახერხა და მილებაზე მეტოქის კარგი თამაშით განერვიულებულმა 12 ორმაგი შეცდომაც დაუშვა.

გადამწყვეტ ხელში ამერიკელმა 5:4-ზე მატჩპოინტი ვერ გამოიყენა. საქმე ისევ ტაი-ბრეიკამდე მივიდა, რომელშიც ფერერა 3:0 დაწინაურდა, თუმცა მერე ზედიზედ რამდენიმე ბექჰენდი ააცილა და მაყურებლებისგან შეგულიანებულ სამპრასს მოგება გადაულოცა 3:6, 7:6 (7:4), 7:6 (7:5).

„უეინი წლების მანძილზე მიმწარებდა ცხოვრებას. ის ძალიან ნიჭიერია, თანაც სწამს, რომ ჩემი დამარცხება შეუძლია. იმის გათვალისწინებით, რომ წლეულს ბევრი არ მითამაშია, შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტისმეტმა სიცხემ მატჩის ბოლოსთვის ორივე დაგვლალა" — განაცხადა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა.

მეორე წრე: **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — ევგენი კაფელნიკოვი (3, რუსეთი) 7:5, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) 7:6 (7:4), 7:6 (7:1); **მაგნუს ნორმანი** (6, შვედეთი) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:4; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — მარსელო რიოსი (7, ჩილე) 7:6 (7:4), 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (8, ეკვადორი) — არნო დი პასკუალი (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:2; **ტომას ენკვისტი** (10, შვედეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:1, 6:4; **სებასტიან გროსჟანი** (საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (11, ინგლისი) 6:3, 3:6, 7:5; **ალექს კორეტხა** (ესპანეთი) — პატრიკ რაფტერი (13, ავსტრალია) 7:6 (7:3), 5:7, 6:2; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — გრეგ რუზეცკი (15, ინგლისი) 6:4, 6:4; **ბაირონ ბლექი** (ზიმბაბვე) — ლეიტონ ჰიუიტი (16, ავსტრალია) 6:3, 7:6 (7:5).

**ავთანდილ სვანიძე**

# ქალი ქალის მეგობარია

## რენატა გოეტჩლიმ რეგინა ჰოისლისთვის ილოცა

გუშინწინ გერმანელმა სამთომოთხილამურემ, რეგინა ჰოისლმა სწრაფდაშვებაში მსოფლიოს თასი მოიგო და მარჯვენა ფეხი ორ ადგილას მოიტეხა. იტალიური ბორმიოს ფერდობებზე მიმდინარე ქალთა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპებში, სწრაფდაშვება ერთ-ერთი ყველაზე დამაინტრიგებელი ჩანდა, რადგან განსხვავება ლიდერსა და მეორეადგილოსანს, ანუ ჰოისლსა და ავსტრიელ რენატე გოეტჩლს შორის არც იმდენი იყო, გერმანელს თავი არხეინად რომ ეგრძნო. გოეტჩლიც ფრიად აგრესიულად გამოიყურებოდა და არ მალავდა, რომ იტალიაში ნამდვილი ბრძოლის გამართვას აპირებდა. ასეც მოიქცა, სტარტიდან ფინიშამდე ცქვიტად ისრიალა, მაგრამ იქ მისულმა ახლა ის ინატრა, ნეტავ, ჰოისლზე მეტი ქულა არ დამიგროვდებოდესო, რახან ეს უკანასკნელი თოვლზე საწყალობლად გაშოტილი იხილა. გერმანელმა ზედ ფინიშზე თავი ვერ შეიკავა, ამოტრიალდა და ფეხის ძვალი ორგან გადაემსხვრა. საბედნიეროდ, ჰოისლმა ჰორიზონტალურ თუ ვერტიკალურ მდგომარეობაში მაინც უწია ფინიშს და მეცხრე შედეგი უჩვენა, რაც გოეტჩლის კეთილშობილური ნატვრის ასახდენად საკმარისი გამოდგა. ავსტრიელმა თავად მესამე პოზიცია დაიკავა, ჯამში 524 ქულა დაუგროვდა და სულ ხუთიოდე პუნქტით, მაგრამ მაინც ჩამორჩა გერმანელს. „ვის აინტერესებს ტიტული და გამარჯვება, როცა მეტოქეს თავს უბედურება დაატყდებოდა“ — თქვა შემდეგ აღელვებულმა გოეტჩლმა — „სტარტზე არ ვიცოდი, რომ რეგინას ფეხი მოსტყდა და როცა ფინიშზე თოვლზე გაწოლილი დავინახე, კინაღამ შოკში ჩავვარდი“. გოეტჩლმა იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ ბორმიოს ტრასის ფინიშისწინა მონაკვეთი საიმედო არ ყოფილა, მეც კინაღამ დავეციო. იმავე ადგილას წაიქცნენ გერმანელი მარტინა ერტლი და იტალიელი იზოლდე კოსტნერი, ოღონდ ისინი იღბალმა შეიწყალა.


AP ბორმიოდან

რეგინა ჰოისლი: წაიქცა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა

ჰოისლის მდგომარეობა სერიოზული იყო. ტკივილებს სპორტსმენი აგონიაში ჩაეგდო და ცხვირ-პირიც სისხლით ჰქონდა დაფარული. იგი სასწრაფოდ უახლოეს ჰოსპიტალში გადაიყვანეს და პირველი დახმარების აღმოჩენისთანავე გერმანიას აფრინეს. იქ მას უეჭველად სანაქებოდ უმკურნალებენ, ჩვენ კი მისი სპორტული უიღბლობები გავიხსენოთ.

19 წლის გერმანელმა შვიდი ზამთრის უკან რომ კორტინა დამპეცოში მსოფლიოს თასის ეტაპი მოიგო, მას აქეთ ერთი ეტაპიც აღარ დაუსრულებია ტრიუმფით. ნაგანოს ოლიმპიადაზე მხოლოდ მეოთხე იყო სუპერგიგანტში და გასული წლის მსოფლიოს პირველობაზე მეხუთე – სწრაფდაშვებაში. არადა, ჰოისლი ნიჭიერი მთხილამურეა, [illegible] გენიალური კატია ზაიცინგერისა და მარტინა ერტლის ჩრდილში იყო. რაც შორს წავიდეთ, სწრაფდაშვების წლევანდელი ეტაპები ვიხილოთ, რომელთაგან ხუთზე ჰოისლმა მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, პირველი კი ერთხელაც არ ყოფილა. ახლა, მან როგორც იქნა, მოიგო, თანაც სწრაფდაშვების მსოფლიოს თასი, თანაც მეტად გაურკვეველ ვითარებაში და რაკი ამას უკვე ეტყოდნენ და მილოცვებით დასეტყვავდნენ, ფეხის მორჩენაც ისე აღარ უნდა გაუჭირდეს.

ბორმიოში კი, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, ცხოვრება გრძელდება, თუმც ქალთა შეჯიბრს სწრაფდაშვების დასრულებით ინტრიგა მეტად მოაკლდა. საერთო ჩათვლაში გოეჩლი ისე დამაჯერებლად უსწრებს თვისტომ მიქაელა დორფმაისტერს, რომ ამ უკანასკნელის პრაქტიკულად ბოლო შანსად, გოეტჩლის სრულ უმოქმედობაღა რჩება, გოეტჩლი კი ისეთი ენერგიული ჩანს, მისი უმოქმედოდ წარმოდგენა ძნელი საქმეა.

**დავით გულუა**



# აღმოსავლური ჯადო: 70

15 მარტი

**ნიუ ჯერსი — დალასი 2:3**

1:2 1:0 0:1

0:1 ლანგენბრუნერი 2'40 (15); 0:2 მატვიჩუკი 3'15 (4); 1:2 ელიაში 15'24 (30); 2:2 არნოტი 25'51 (19); 2:3 მოდანო 45'50 (33)

**ვაშინგტონი — აილენდერსი 4:3**

2:3 2:0 0:0

1:0 კლი 4'50 (6); 1:1 გრინი 4'58 (10); 1:2 ისბისტერი 11'21 (17); 1:3 დავიდსონი 15'57 (2); 2:3 იეიკი 19'38 (9); 3:3 ბონდრა 30'18 (20); 4:3 საიმონი 37'15 (25)

**კაროლინა — ედმონტონი 2:2**

0:0 1:2 1:0 0:0

0:1 რ. მიურეი 29'24 (6); 0:2 უეიტი 34'08 (16); 1:2 რობერტსი 39'04 (17); 2:2 უესლი 46'14 (7)

**რეინჯერსი — ტამპა 4:4**

2:2 1:2 1:0 0:0

0:1 ლეკავალიე 1'08 (21); 0:2 ჰეი 5'40 (1); 1:2 ფლერი 6'46 (15); 2:2 ლაკრუა 12'06 (3); 3:2 კამენსკი 22'27 (10); 3:3 დრულია 33'33 (9); 3:4 მარა 36'37 (7); 4:4 ლიჩი 46'22 (6)

**ტორონტო — ჩიკაგო 2:5**

0:2 1:2 1:1

0:1 ჟამნოვი 6'27 (19); 0:2 ნიულანდერი 14'54 (20); 0:3 სალივანი 22'10 (15); 0:4 მარჰა 25'35 (8); 1:4 ადამსი 31'59 (5); 1:5 სალივანი 42'16 (16); 2:5 ტომასი 55'50 (21)

**კალგარი — ოტავა 1:3**

0:1 0:1 1:1

0:1 მაკიჩერნი 4'18 (27); 0:2 ბონკი 35'46 (18); 0:3 ალფრედსონი 41'59 (15); 1:3 კოუენი 59'44 (2)

**ფინიქსი — სენტ ლუისი 3:5**

0:1 0:1 3:3

0:1 რომი 7'14 (1); 0:2 ელეტი 37'34 (2); 0:3 პრონგერი 40'41 (11); 1:3 კარნი 42'50 (4); 1:4 პრონგერი 48'39 (12); 1:5 იანგი 49'10 (20); 2:5 დრუნი 49'51 (23); 3:5 ადამსი 58'30 (15)

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 2:2**

2:1 0:1 0:0 0:0

1:0 რუჩინი 4'02 (16); 2:0 ტვერდოვსკი 8'53 (13); 2:1 სმოლინსკი 9'40 (19); 2:2 სმოლინსკი 20'59 (20)

**სან ხოსე — ბუფალო 6:5**

2:2 1:1 2:2 1:0

1:0 ნოლანი 5'23 (42); 2:0 შტურმი 6'32 (11); 1:2 გილმორი 11'08 (23); 2:2 სანდერსონი 11'16 (12); 2:3 ციპლაკოვი 20'41 (11); 3:3 კოროლიუკი 35'58 (14); 3:4 პატრიკი 40'59 (5); 3:5 ჯ. ბრაუნი 48'48 (17); 4:5 გრენატო 51'48 (5); 5:5 დამფუსი 59'32 (17); 6:5 ფრიზენი 62'56 (23)

თითქოს დაინავსნენო აღმოსავლეთდივიზიონელები. აგერ უკვე მერამდენე დღეა, ორი საპლეიოფო საგზურისთვის მებრძოლ 5 გუნდს 70-ქულიანი ზღვარი ვერაფრით გადაულახავს. ეს მაჩვენებელი არც ოთხშაბათის მატჩების შემდეგ შეცვლილა. 4 კლუბს ისევ 70-70 ქულა აქვს, ხოლო ბუფალოს — ერთით ნაკლები.

კაროლინით დავიწყოთ. რა უშლიდა ხელს რობერტ კრონს, ოვერტაიმში ედმონტონის მეკარე ტომი სალოსთან პირისპირ გასულს, გოლი გაეტანა? მან ეს ვერ გააკეთა და თავისი გუნდის მარაგსაც ვერაფერი შემატა. ახლა რეინჯერსზეც ვთქვათ. ნიუიორკელებს ხომ კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, რომ მათმა მეტოქემ, აუტსაიდერმა ტამპამ მონრეალს მძიმე ბრძოლაში მოუგო და კანადელებს 70-ქულიან ნიშნულთან მიახლოების საშუალება არ მისცა. იცოდნენ, მაგრამ ისე ითამაშეს, რომ ძირითად დროში ქულის მოპოვებაც კი ურთულეს საქმედ იქციეს და ოვერტაიმშიც მხოლოდ კირკ მაკლინის საუცხოო თამაშმა იხსნა გუნდი წაგებისგან.

ბუფალოც, კონკურენტთა დარად, მხოლოდ თავის თავს თუ დააბრალებს წარუმატებლობას. არადა, „ხმლებმა“ ისე კარგად ითამაშეს, მათმა სიტყვაძუნწმა თავკაცმა ლინდი რაფმაც კი ქების სიტყვები არ დაიშურა შეგირდთა მიმართ. თუმცა ბუფალოელთა თითქმის ყველა შეცდომა საბედისწერო გამოდგა და ვერც დომინიკ ჰაშეკი გაისარჯა საკადრისად. შედეგად სტუმრებმა ძირითადი დროის ბოლო წამებზე მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინეს, დამატებით დროში კი ჯეფ ფრიზენმა მატჩის გმირის, ნიკლას სუნდსტრიომის (3 პასი) ზუსტი პასი გამოიყენა და სან ხოსემ პირველად, ბოლო სამი თვის განმავლობაში ზედიზედ მეორედ მოიგო.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ეს 70 ქულა დასავლეთის დივიზიონსაც თავსატეხად ექცა, ოღონდ მხოლოდ იმ გუნდებს, რომლებიც საპლეიოფო ოქტეტის მიღმა იმყოფებიან. ამით ისინი ისევ და ისევ თავიანთ იღბლიან კონკურენტებს უწყობენ ხელს.

ზედიზედ ხუთი მატჩია, აგებს კალგარი და ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნის. ოტავასთან შეხვედრაში „ფლეიმსის“ ტერიტორიულმა და სათამაშო უპირატესობამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რაშიც „სენატორთა“ მეკარე პატრიკ ლალიმს მიუძღვის ბრალი, სანამ დედლაინზე გუნდში გადასული ტომ ბარასო ოჯახური პირობების გამო ვერ თამაშობს, ლალიმი თავის გამოჩენის შანსს ხელიდან არ უშვებს. ამჯერად მან 36 დარტყმა მოიგერია.

ვერც ანაჰაიმი გადაახტა მისთვის ავადსახსენებელ ბარიერს. სამი უნიათო მატჩის შემდეგ „იხვებს“ მოგება შეეძლოთ, მაგრამ ბედმა არ გაუღიმათ.

ამგვარი პრობლემები როდი აწუხებს სენტ ლუისს, რომელმაც პირველმა გააფორმა პლეი ოფში გასვლა. მართალია, წინა საგარეო შეხვედრაში დალასთან წაგებამ „ბლუზმენების“ სარეკორდო 11-მატჩიანი სერია (+10=1-0) შეწყვიტა, მაგრამ მორიგმა გამარჯვებამ გუნდს ახალი საკლუბო მიღწევა — სტუმრად 23 მოგება მოუტანა. ამჯერად ფინიქსთან წამყვანმა მცველმა კრის პრონგერმა (2 გოლი) და ახალბედა მორტი რიზონერმა (4 პასი) გამოიღეს ხელი. ეს უკანასკნელი ძირითადში პიერ ტარჯონის ტრავმის გამო მოხვდა და ჩინებული თამაშით მფრთხნელებს ნამდვილი სიურპრიზი მისთავაზა.

**სამველ ლარიბიანი**


AP ფინიქსიდან

ლიგაში ისეთი ამბებია, სენტლუისელი სკოტ პელერინისგან (33) ფინიქსელი ლაილ ოდელეინის გამეტება მსაჯებს გამოეპარათ კიდეც

### სატურნირო ვითარება

| ალმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 71 | 40 | 8 | 5 | 23 | 218:171 | 93 |
| ტორონტო | 70 | 39 | 7 | 3 | 24 | 215:185 | 88 |
| ვაშინგტონი | 70 | 37 | 11 | 1 | 22 | 189:166 | 84 |
| ფილადელფია | 69 | 37 | 11 | 2 | 21 | 201:156 | 87 |
| ოტავა | 69 | 35 | 11 | 2 | 23 | 205:173 | 83 |
| ფლორიდა | 69 | 36 | 5 | 5 | 28 | 204:174 | 82 |
| კაროლინა | 70 | 30 | 10 | 0 | 30 | 187:192 | 70 |
| მონრეალი | 70 | 30 | 7 | 3 | 33 | 167:166 | 70 |
| რეინჯერსი | 72 | 30 | 7 | 3 | 33 | 201:204 | 70 |
| პიტსბურგი | 69 | 28 | 8 | 6 | 33 | 197:203 | 70 |
| ბუფალო | 71 | 28 | 10 | 3 | 33 | 179:185 | 69 |
| ბოსტონი | 69 | 21 | 17 | 5 | 31 | 175:204 | 64 |
| აილენდერსი | 70 | 20 | 8 | 1 | 42 | 164:232 | 49 |
| ტამპა | 69 | 16 | 8 | 7 | 45 | 175:260 | 47 |
| ატლანტა | 68 | 12 | 6 | 4 | 50 | 141:259 | 34 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 70 | 44 | 9 | 0 | 17 | 215:143 | 97 |
| დალასი | 71 | 39 | 7 | 4 | 25 | 180:158 | 89 |
| კოლორადო | 71 | 34 | 10 | 1 | 27 | 202:179 | 79 |
| დეტროიტი | 70 | 42 | 8 | 1 | 20 | 232:178 | 93 |
| ლოს ანჯელესი | 70 | 34 | 9 | 3 | 27 | 219:200 | 80 |
| ფინიქსი | 70 | 35 | 7 | 1 | 28 | 206:193 | 78 |
| სან ხოსე | 71 | 30 | 9 | 7 | 32 | 198:187 | 76 |
| ედმონტონი | 71 | 26 | 16 | 8 | 29 | 195:185 | 76 |
| ანაჰაიმი | 71 | 28 | 12 | 2 | 31 | 185:196 | 70 |
| კალგარი | 71 | 28 | 8 | 5 | 35 | 186:222 | 69 |
| ვანკუვერი | 70 | 23 | 14 | 8 | 33 | 181:206 | 68 |
| ჩიკაგო | 70 | 27 | 7 | 2 | 36 | 209:219 | 63 |
| ნეშვილი | 70 | 24 | 6 | 7 | 40 | 177:207 | 61 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

### კვირის მოთამაშე

#### იანიკ პერო (ტორონტო)



ჩვეული ამბავია — კვირის ლაურეატი გახდა ის, ვინც ამ შვიდი დღის განმავლობაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. ტორონტოელმა იანიკ პერომ 4 მატჩში 8 (5+3) ქულა მიითვალა და გაუსწრო კოლორადოელ ჯო საკიკს, რომელმაც ამდენივე გატანილ შაიბას მხოლოდ 2 პასი დაამატა. პეროს გოლები ორმაგად იმიტომ ფასობს, რომ ოთხივე შეხვედრის ბედი გადაწყვიტა. კვირაც შთამბეჭდავად დაასრულა ფორვარდმა — დივიზიონში ტორონტოელთა მთავარ კონკურენტ ოტავას 2 შაიბითა და პასით ამბიციები გაუნელა.

28 წლის პერო ჯერ კიდევ ლოს ანჯელესში თამაშისას ითვლებოდა იმედისმომცემ ჰოკეისტად, მაგრამ თავისი შესაძლებლობები სრულად მხოლოდ ტორონტოში გამოავლინა, სადაც 1997 წელს გადავიდა. დღესდღეობით იგი კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება.

**საუკეთესო ექვსეული. 6-12 მარტი**

*ჯეფ ჰეკეტი (მონრეალი, 1); რეი ბურკი (კოლორადო, 3) — ჯესონ ვული (ბუფალო, 1); ჯო საკიკი (კოლორადო, 1) — იანიკ პერო (ტორონტო, 2) — შონ მაკიჩერნი (ოტავა, 1).*


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli